645
1984



# საქართველოს ქალი

ISSN 0321—1509

2
1984



# იური ვლადიმერის ძე ანდროპოვი

„საქართველოს ქალი"
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი.

«САКАРТВЕЛОС КАЛИ»
Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал ЦК КП Грузии.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# საინფორმაციო ცნობა

# საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

1984 წლის 13 თებერვალს გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის რიგგარეშე პლენუმი.

ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დავალებით პლენუმი გახსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. კ. უ. ჩერნენკომ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ი. ვ. ანდროპოვის გარდაცვალებასთან დაკავშირებით ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მონაწილეებმა იური ვლადიმერის ძე ანდროპოვის ხსოვნას პატივი სცეს მწუხარების წუთიერი დუმილით.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ, მთელმა საბჭოთა ხალხმა მძიმე დანაკლისი განიცადეს. გარდაიცვალა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწე, მგზნებარე პატრიოტი, ლენინელი, მშვიდობისა და კომუნიზმისათვის დაუცხრომელი მებრძოლი.

პარტიული და სახელმწიფო მუშაობის უმნიშვნელოვანეს პოსტებზე, რომლებზეც იური ვლადიმერის ძე ანდროპოვს პარტია გზავნიდა, იგი მთელ ძალ-ღონეს, ცოდნასა და უდიდეს ცხოვრებისეულ გამოცდილებას ახმარდა პარტიის პოლიტიკის განხორციელებას, მასებთან მისი კავშირის გაძლიერებას, საბჭოთა კავშირის ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერების განმტკიცებას.

ი. ვ. ანდროპოვი დიდ ყურადღებას უთმობდა სკკპ XXVI ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების მიერ შემუშავებული ხაზის განხორციელებას, რომლის მიზანია წარმოების ყოველმხრივი ინტენსიფიკაცია, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება, სახალხო მეურნეობის მართვის სრულყოფა, კადრების პასუხისმგებლობის, ორგანიზებულობისა და დისციპლინის გაძლიერება, ხალხის ცხოვრების მატერიალური და სულიერი დონის განუხრელი ზრდა.

დიდი წვლილი შეიტანა ი. ვ. ანდროპოვმა სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების ყოველმხრივი თანამშრომლობის განვითარებაში, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ერთიანობისა და შეკავშირების განმტკიცებაში, თავისუფლებისა და და მოუკიდებლობისათვის ხალხთა სამართლიანი ბრძოლის მხარდაჭერაში. მისი ხელმძღვანელობით თანამიმდევრულად და მტკიცედ ხორციელდებოდა საერთაშორისო ასპარეზზე ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს ლენინური საგარეო-პოლიტიკური კურსი — თერმობირთვული ომის საფრთხის თავიდან აცილების, იმპერიალიზმის აგრესიული ხრიკების ჩაშლის, ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების კურსი.

პლენუმმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამ გლოვის დღეებში კომუნისტები, მთელი საბჭოთა ხალხი კიდევ უფრო მჭიდროდ აკავშირებენ თავიანთ რიგებს პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს გარშემო, მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი თავდადებით იბრძოლონ პარტიის ლენინური საშინაო და საგარეო პოლიტიკის განხორციელებისათვის.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მონაწილეებმა ღრმა საქმიმარი გამოუცხადეს განსვენებულის ნათესავებსა და ახლობლებს.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა განიხილა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის არჩევის საკითხი.

ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დავალებით ამ საკითხზე სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ნ. ა. ტიხონოვმა. მან წამოაყენა წინადადება სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად აირჩიონ ამხ. კ. უ. ჩერნენკო.

პლენუმმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად ერთხმად აირჩია ამხ. კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკო.

შემდეგ პლენუმზე გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხ. კ. უ. ჩერნენკო. მან გულითადი მადლობა გადაუხადა პარტიის ცენტრალურ კომიტეტს დიდი ნდობისათვის.

ამხ. კ. უ. ჩერნენკომ სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და კომუნისტურ პარტიას აღუთქვა, რომ ძალ-ღონეს, ცოდნასა და ცხოვრებისეულ გამოცდილებას არ დაიშურებს, რათა წარმატებით შესრულდეს ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის ამოცანები, უზრუნველყოფილ იქნეს მემკვიდრეობითობა იმ ამოცანების გადაწყვეტაში, რომლებიც სკკპ XXVI ყრილობამ დასახა სსრ კავშირის ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის, მშვიდობის დამკვიდრებისათვის, ლენინური საშინაო და საგარეო პოლიტიკის განხორციელებაში, რომელსაც კომუნისტური პარტია და საბჭოთა სახელმწიფო ადგანან.

ამით ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მუშაობა დაამთავრა.



17.725
კ. მარქსის ს. ს. საქ. სსრ სახელმწიფო ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკო



კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკო დაიბადა 1911 წლის 24 სექტემბერს კრასნოიარსკის მხარის ნოვოსელოვოს რაიონის სოფელ ბოლშაია ტესში, რუსია.

1931 წლიდან არის სკკპ წევრი. განათლება უმაღლესი — დაამთავრა პედაგოგიური ინსტიტუტი და სკპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტორგანიზატორთა უმაღლესი სკოლა.

შრომითი ცხოვრება კ. უ. ჩერნენკომ ადრეული ასაკიდან დაიწყო, როცა მოჯამაგირედ მუშაობდა კულაკებთან. მთელი მისი შემდგომი შრომითი საქმიანობა დაკავშირებულია ხელმძღვანელ მუშაობასთან კომკავშირულ, შემდეგ კი პარტიულ ორგანოებში. 1929-1930 წლებში კ. უ. ჩერნენკო იყო სრულიად საკავშირო ალკკ კრასნოიარსკის მხარის ნოვოსელოვოს რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე. 1930 წელს მოხალისედ წავიდა წითელ არმიაში. 1933 წლამდე მსახურობდა სასაზღვრო ჯარებში, იყო სასაზღვრო საგუშაგოს პარტიული ორგანიზაციის მდივანი.

ჯარში სამსახურის დამთავრების შემდეგ კ. უ. ჩერნენკო მუშაობდა კრასნოიარსკის მხარეში: პარტიის ნოვოსელოვოსა და უიარის რაიკომების პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგედ, კრასნოიარსკის მხარის პარტიული განათლების სახლის დირექტორად, პარტიის კრასნოიარსკის სამხარეო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგის მოადგილედ, პარტიის სამხარეო კომიტეტის მდივნად.

1943 წლიდან კ. უ. ჩერნენკო სწავლობს სკპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ პარტორგანიზატორთა უმაღლეს სკოლაში. სწავლის დამთავრების შემდეგ 1945 წლიდან მუშაობს პარტიის პენზის საოლქო კომიტეტის მდივნად. 1948 წელს გაგზავნეს მოლდავეთის სს რესპუბლიკაში და დაამტკიცეს მოლდავეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგედ. ამ თანამდებობაზე მუშაობისას მან დიდი ძალ-ღონე და ცოდნა მოახმარა რესპუბლიკაში ეკონომიკურ და კულტურულ მშენებლობას, მშრომელთა კომუნისტურ აღზრდას.

1956 წელს კ. უ. ჩერნენკო დააწინაურეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპარატში სამუშაოდ, სადაც იგი სათავეში ჩაუდგა სექტორს პროპაგანდის განყოფილებაში, და ამავე დროს დაამტკიცეს ჟურნალ „აგიტატორის“ სარედაქციო კოლეგიის წევრად. 1960 წლიდან იგი მუშაობს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სამდივნოს უფროსად. 1965 წელს კ. უ. ჩერნენკო დაამტკიცეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის საერთო განყოფილების გამგედ. 1966-1971 წლებში იგი სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატია. პარტიის XXIV ყრილობაზე (1971 წლის მარტი) მას ირჩევენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრად, ხოლო 1976 წლის მარტში პარტიის XXV ყრილობის შემდეგ გამართულ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე — სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნად.

1977 წლიდან იგი პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატია, ხოლო 1978 წლიდან — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი. იგი სსრ კავშირის მე-7-10 მოწვევის უმაღლესი საბჭოს და რუსეთის სფსრ მე-10 მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატია. კ. უ. ჩერნენკო იყო საბჭოთა დელეგაციის წევრი ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის საერთაშორისო თათბირზე (ჰელსინკი, 1975 წელი). მონაწილეობდა ვენაში განიარაღების საკითხებისადმი მიძღვნილ მოლაპარაკებაში (1979 წ.)

კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკო კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს თვალსაჩინო მოღვაწეა. ყველა პოსტზე, რომელიც კი პარტიას მიუნდვია მისთვის, იგი ავლენდა დიდ ორგანიზატორულ ნიჭს, პარტიულ პრინციპულობას ლენინის დიადი საქმის, კომუნიზმის იდეალების ერთგულებას. კ. უ. ჩერნენკო საბჭოთა საზოგადოების ცხოვრებაში პარტიის ხელმძღვანელი როლის გაზრდის, პარტიული და სახელმწიფო მუშაობის სტილისა და მეთოდების სრულყოფის, სოციალისტური დემოკრატიის განვითარების აქტუალური საკითხებისადმი მიძღვნილი მთელი რიგი სამეცნიერო შრომების ავტორია. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმზე კ. უ. ჩერნენკომ გააკეთა მოხსენება, რომელშიც განსაზღვრულია თანამედროვე პირობებში სკკპ იდეოლოგიური საქმიანობის გაუმჯობესების მთავარი მიმართულებანი.

სამშობლოს წინაშე დიდი დამსახურებისათვის კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკოს ორგზის მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება და დაჯილდოებულია სამი ლენინის ორდენით, სამი შრომის წითელი დროშის ორდენით, საბჭოთა კავშირის ბევრი მედლით. იგი ლენინური პრემიის ლაურეატია.

კ. უ. ჩერნენკო დაჯილდოებულია სოციალისტური ქვეყნების უმაღლესი ჯილდოებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვეტერანი დღესაც შრომობს...

# სოფლის [illegible]



შარშან, მაისში, მცხეთის რაიონის სოფელ ძეგვში საზეიმოდ გაიხსნა თვითნასწავლი მხატვრის მიხეილ სოლოღაშვილის საგამოფენო დარბაზი. სოფელს მნიშვნელოვანი კულტურის კერა შეემატა, რომლის დაფუძნებაში თვალსაჩინო წვლილი მიუძღვის მრავალი კარგი საქმის თაოსანს, ადგილობრივი საბჭოს დეპუტატს ვარვარა სოლომონის ასულ სოლოღაშვილს.

ჯერ კიდევ სამი წლის წინათ სასოფლო საბჭოს სესიაზე გადაწყდა, რომ მხატვრისთვის სალონი აეშენებინათ. მშენებლობის საქმე სასოფლო საბჭოში შემავალ ორგანიზაციებს დაევალა. მშენებლობას ვარვარა სოლოღაშვილი ჩაუდგა სათავეში და საქმე ბოლომდე მიიყვანა.

საგამოფენო დარბაზის გახსნის დროს მრავალი გულთბილი სიტყვა და მადლობა ითქვა ვარვარა სოლოღაშვილის მიმართ.

მის ცხოვრებაში 1939 წელი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო: საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა სამუშაოდ მცხეთის კომკავშირის რაიკომში გაამწესა პიონერთა და მოსწავლეთა განყოფილების გამგედ და, რაც მთავარია, იმავე წელს კანდიდატობიდან სკკპ წევრად მიიღეს.

ვარვარა მაშინვე გულმოდგინედ შეუდგა შრომას: ხან ფეხით, ხან ცხენით შემოივლიდა რაიონის თითქმის ყველა სოფელს, ადგილზე ეცნობოდა პიონერული და კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობას. მისი უშუალო ინიციატივით ზოგან შეიცვალა პიონერხელმძღვანელი და კომკავშირის ორგანიზაციის მდივანი. მათი სამუშაო გეგმებიც ახლებურად შედგა.

ვარვარას წინადადებით პიონერულ და კომკავშირულ ორგანიზაციებში მოზარდების მიღებას საზეიმო ელფერი მიენიჭა, რამაც გაზარდა სწავლასა და შრომაში მათი პასუხისმგებლობა.

1940 წლის სექტემბერში ვ. სოლოღაშვილი საქართველოს ალკკ მცხეთის რაიკომის პირველ მდივნად აირჩიეს.

სამამულო ომის წლებში ვარვარა გაორკეცებული ენერგიით მუშაობდა. ერთ დღეს რომ მუხრანში იყო, მეორე დღეს ნიჩბისში მიდიოდა, კომკავშირლებს საერთო-სახალხო საქმისათვის რაზმავდა. მისი ხელმძღვანელობით რაიონის კომკავშირელებმა 50000 მანეთი შეაგროვეს უდედმამოდ დარჩენილ ბავშვთა სასარგებლოდ, ზრუნავდნენ ომით დაზარალებული ოჯახებისათვის, კრეფდნენ სამკურნალო მცენარეებს.

მცხეთელებს დღესაც ახსოვთ როგორ ილვწოდა ვარვარა რეზერვუარის გასაკეთებლად, რომ ხალხს სასმელი წყალი მიელო. ნატახტრელებს ბევრჯერ უნახავთ, ხალისიანად რომ მიუძღოდა იგი ახალგაზრდებს სოფელში სარწყავი წყლის გასაყვანად.

კომკავშირის რაიკომი შეფობას უწევდა და წლების განმავლობაში მზრუნველობას არ აკლებდა კარსანის ინვალიდების სახლს.

ვარვარას თაოსნობით კომკავშირელები აგროვებდნენ და ფრონტზე გზავნიდნენ თბილ ტანსაცმელს, სურსათ-სანოვაგეს, მხატვრულ ლიტერატურას.

ომის წლებში კომკავშირის მცხეთის რაიკომის ხელმძღვანელობით კაპიტალურად შეკეთდა მცხეთის პედაგოგიური სასწავლებელი, მოხდა წინამძღვრიანთკარის ტექნიკუმის რეკონსტრუქცია, გაფართოვდა სამიმოსვლო გზები, ეხმარებოდნენ მეყვავილე მიხეილ მამულაშვილს.

ომის დამთავრების შემდეგ ვარვარა სოლოღაშვილი ერთხანს თბილისის სამკერვალო-საქარხნო სკოლის დირექტორად მუშაობდა, შემდეგ კი — მეათე საშუალო სკოლის დირექტორად, 1949 წლიდან დიდი ხნის მანძილზე ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა პიონერთა ბანაკის უფროსი იყო.

1968 წელს ვარვარა მშობლიურ სოფელს დაუბრუნდა და ძეგვის ახალგაზრდობის სალამოს სკოლის დირექტორად დაიწყო მუშაობა. ორი წლის შემდეგ მას რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსია დაენიშნა.

ვარვარამ, ყველგან, სადაც უმუშავია, ხალხის სიყვარული და პატივისცემა მოიპოვა, როგორც ნიჭიერმა ორგანიზატორმა, თავშიდაბალმა და პრინციპულმა კომუნისტმა. ამის დასტურია მედლები, სიგელები, ფულადი საჩუქრები და, რაც მთავარია, ხალხის პატივისცემა.

პატივცემული ვარვარა საქართველოს ალკკ მცხეთის რაიკომთან არსებული კომკავშირული მოძრაობის ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარეცაა და ძეგვის სასოფლო საბჭოში, როგორც უნარიანი დეპუტატი, კეთილმოწყობისა და საგზაო მშენებლობის მუდმივ კომისიას ხელმძღვანელობს.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ, რაც ძეგვის სასოფლო საბჭოში ხალხის კეთილდღეობისათვის კეთდება, თითქმის ყველაფერი ვარვარას სახელთან არის დაკავშირებული. ამჟამად იგი ძეგვის მექანიკური ქარხნის კომენდანტია, ხელმძღვანელი ამხანაგები და თანამშრომლები აფასებენ, როგორც უნარიან და გულისხმიერ მუშაკს. ვარვარა კვლავ ხალხში ტრიალებს. კვლავ ხალხის კეთილდღეობისათვის ილვწის.

შალვა მარკოზაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სართიჭალელი ქალები



მებოსტნე მინადორა ბარბაქაძე



მევენახე ნატაშა პაქსაშვილი

## პირველი თოვლი

იმ დღეს პირველად ჩამოთოვა სართიჭალაში, მაგრამ ჯერ კიდევ როგორღაც გაუბედავად, წვრილად და ირიბად თოვდა; სოფელში კი მაინც უხაროდათ, მიწას და ჰაერს ძალიან სჭირდება თოვლით.

ზამთრის ცივი, ნისლიან-სუსხიანი დღე იდგა, სიცივე ძვალ-რბილში ატანდა ადამიანს, სართიჭალის მებოსტნეობა-მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში კი ჩვეულებრივი სამუშაო დღე იყო: ბრიგადები თოვლით დაფარულ მინდვრებს შესეოდნენ და კომბოსტოს იღებდნენ, ჭრიდნენ, არჩევდნენ.

## მინადორა ბებია

— რა ვიცი, შვილო, რა მოგიყვე, აბა! — უხერხულად მიღიმის მინადორა ბარბაქაძე, — სამოცდათერთმეტი წლის ქალი მოვიყარე და რაც თავი მახსოვს, სულ ვმუშაობ. ჩვენში 1931 წელს რომ კოლექტივი ჩამოყალიბდა, პირველი წევრი მეც ვიყავი, ის კაცი მაინც რომ არ დამკარგოდა ჩემი ცოდვით სავსე ომში, არაფერი მიჭირდა; მტერი მაინც არ გამიხარებია, გენაცვალე, ორი ბიჭი დავაოჯახე და უკვე ექვსი შვილიშვილის ბებია ვარ...

ომს ნუ მოაგონებთ მინადორა ბებიას, მაშინ ყველას უჭირდა, მაგრამ ქედს არავინ იდრეკდა. ჰოდა, მინადორაც ითმენდა და შრომობდა. კარგა ხანია პენსიაზე გავიდა, მაგრამ მაინც ბრიგადაში ფუსფუსებს, მებოსტნეობის მეორე ბრიგადის უხუცესი და ყველაზე საპატიო წევრია. მოხუცს იმედიანი კილო აქვს, ყოჩაღად არის, ოღონდ თვალები აქვს სევდიანი და ესეც ალბათ წარსულის დანატოვარია, იმ ავადსახსენებელი ომისა. ტკივილისა და ქალის უბედობისა, ნამუსიანი, გაუტეხელი დედობისა.

— მაინც არაფერი მეთქმის, ბედნიერი ქალი ვარ, მხოლოდ ეგ არის ომისა მეშინია ძალიან და სულ იმას ვნატრობ, აღარ გამეორდეს არასოდეს! სხვა რაღა, თუ შრომა გიყვარს, არ დაიკარგები. მეც, ერთი უბრალო სოფლელი დედაკაცი, ვინ იცის, როგორ დამაფასეს, სწორედაც რომ შრომის წყალობით.

მინადორა ბარბაქაძე შრომის წითელი დროშის ორდენოსანი გახლავთ და მედლებიც მრავლადა აქვს მიღებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## იმედი

ბედნიერი ქალია ლილი ჩეკურაშვილი. იმედი გაუმართლა ბავშვობის სიყვარულმა. სწორედ რომ გულგასახარი ოჯახი აქვთ ლილისა და ნოდარს, უკვე ქალ-ვაჟიც წამოზარდეს. უფროს ქალიშვილს გიულის სიყვარულის, ყვავილობის ასაკი უდგას, შალვა კი ჯერ პატარაა.

შრომა ჩვეულებად ექცა ლილის. ბავშვობიდანვე დაიწყო გარჯა და აი უკვე ოცდაექვსი წელი მიითვალა მისმა შრომითმა ბიოგრაფიამ. ლილის რომ ჰკითხოთ, განსაკუთრებულს არაფერს აკეთებს თავის მეოთხე ბრიგადაში, მაგრამ ის ფაქტი, რომ ეს ჯერაც ახალგაზრდა, სასიამოვნო გარეგნობის კდემამოსილი ქალი მრავალი ჯილდოს მფლობელია და თანაც რაიონის XIX პარტიული კონფერენციის დელეგატიც არის, თავისთავად ბევრ რამეს ნიშნავს და მისი ხასიათის შინაგან, დამალულ, საუკეთესო თვისებებსაც გვიმჟღავნებს.

სართიჭალის მებოსტნეობა-მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა მისი დიდი ოჯახია. მეურნეობაში მთავარი დარგი მებოსტნეობაა; ბოსტნეულით უხვად ამარაგებენ თბილისს. შარშან გეგმით 11050 ტონა ბოსტნეული უნდა გაეგზავნათ თბილისელებისათვის და 11.300 ტონა გაუგზავნეს. გადაჭარბებით შეასრულეს მარცვლეულის ჩაბარების დავალებაც.

წუხს ლილი, რომ ხილის და ყურძნის მოსავალმა გაუმტყუნა იმედი მეურნეობას, დაბეტყვილი ვენახები და მეწლე ხეხილები აბა რა იმედის მომცემია! მაგრამ ფიქრობენ რომ თავდადებული შრომით მდგომარეობა გამოსწორდება.

## მერგოლური

ნანული გელაშვილი ამ ორი ათეული წლის წინათ, რვა კლასის დამთავრების შემდეგ მოვიდა მებოსტნეობის მეორე ბრიგადაში, დღეს კი მერგოლურია. მუყაითობა და შრომის სიყვარული არ აკლია, არც სიტყვაძვირია. სათქმელს ალალად, დაუფარავად ამბობს. მართალი და გამტანი დედაკაცია, ჰოდა, რა გასაკვირია, რომ უყვარდეთ, რომ აფასებდნენ. მასზე ამბობენ, ერთს შემოგხედავს და მორჩა, მაშინვე იტყვის, რა კაციცა ხარო, სწორედ ეს უტყუარი ალღო და ფასიანი სიტყვა სჭირდება მერგოლურს.

წისქვილის ქვის გადაგორება, რომ იტყვიან, არც მას დაჰკლებია წარსულში, მაგრამ მაინც ბედნიერი იყო. ვინც უყვარდა, მასთან ერთად ეწეოდა უღელს ამ წუთისოფლის ცოდვა-მადლიან გზებზე. ულალატო და ერთგული ხასიათი აქვს ნანულის. ამ ერთგულებით ელოდა მიჯნური თანაკლასელის დაბრუნებას და ახლაც ამ ულალატობით ეწევა ჭაპანს მასთან ერთად.

ბავშვები მალე წამოეწიათ, სახლიც აშენებული ჰქონდათ ახალგაზრდა ცოლ-ქმარს. ოჯახი ხომ უნდა გამართულიყო, საკუთარი ჭერი და კერა იყო საჭირო, რომ მტერმოყვარესთან თავი არ შეერცხვინათ, ამიტომაც დღე და ღამე თავდადებით მუშაობდნენ ნანული და ტრისტანი. და აი შრომის შედეგიც: ჯერ სახლი წამოჭიმეს, კერა გამართეს, ჭერი აამაღლეს, მერე ორი ბიჭის გაჩენის სადღეგრძელოც შესვეს, თოფიც დაცალეს და ასე, გელაშვილების ბუხრიდანაც ბოლავდა კვალი.

სამუშაოზე არცერთი დღე არ გამიცდენიაო, — გულწრფელად მეუბნება ნანული და თვალებში მიყურებს. ასე იციან მართალმა ადამიანებმა — შეუცბუნებლად გაგისწორებენ თვალს და ეს ყოველგვარ ფიცზე უფრო სანდოა. ასეთი თვალების პატრონს ყველგან და ყოველთვის დაეჯერება. ამიტომაც ნანული გელაშვილზე, როგორც მშრომელ ქალზე, კარგ დედაზე, მეუღლეზე და მეოჯახეზე სიგელები, დიპლომები და მედლები კი არა, უფრო ძვირფასი რამ — მისი თვალები მეტყველებს. თვალები ხომ ადამიანის სულის სარკეა. მწერალი რევაზ ინანიშვილიც წერს: „დიდხანს უნდა შევუნარჩუნოთ ადამიანებს სამყაროს საოცრება — სიკეთის შუქი თვალებში!"

## ხელები

წავიდა ის დრო, მესამეკლასელი ობოლი გოგონა მამამ სკოლიდან რომ გამოიყვანა, შინ მჭადის გამომცხობი არავინა მყავსო. რა ვქნა მუშაკაცს, მთელი დღის ნაჯაფს, ცალუღლად დარჩენილს, სამი შვილი შეჰყურებდა ხელებში. შინ შუაღამისას ბრუნდებოდა, ბავშვები კი თვალებში შესციცინებდნენ. ცხელი საჭმელი ხომ მაინც უნდა დახვედროდა: ახლა აღარ ემდურის ნატაშა მამას. გაუგო და იმიტომ. მაშინ კი სულ ცხარე ცრემლებით დაიტირა თავისი გაუხარელი ბავშვობა. რაოდენ ძნელი და მძიმე იყო, მისი ტოლები დილით ჟივილ-ხივილით და უდარდელობით რომ მიაშურებდნენ სკოლას. ის კი იჯდა და დედის სურათს დასტიროდა, ობლობასა და გაჭირვებას შესჩიოდა, თითქოს შველასა სთხოვდა მშობელს.

მერე გათხოვდა და ავადმყოფ დედამთილს, ხუთ შვილს, ქმარსა და ოჯახს უვლიდა, მუშაობასაც ასწრებდა, ხუთი შვილიდან ოთხი გაფრინდა, დაოჯახდა, შვილიშვილებიც მოესწროთ ნატაშა და იაშა პაქსაშვილებს, ჯერჯერობით რვა შვილიშვილი ჰყავთ, ღმერთმა უმრავლოთ!

ხელები მშრომელი ადამიანის ბიოგრაფიააო, — ამბობენ, ამიტომაც უმალ, როგორღაც ნატაშას ხელებისაკენ გამექცა მზერა — ნაჯაფარი, დაშაშრული ხელები, ეს საოცარი, ყოვლისშემძლე ხელები, რომლებმაც ამდენი აატანინა თუ გადაატანინა ამ პატარა, სუსტ, სანდომიან ქალს, მშვიდად ისვენებდნენ კალთაში.

ახლა ნატაშა პაქსაშვილი პენსიონერი გახლავთ, მაგრამ შინ რა დააყენებს! მევენახეობის მეთორმეტე ბრიგადის წევრს იმ დღეს თავისი საქმე უკვე მოლეული ჰქონდა და მეზობლებს ეხმარებოდა კომბოსტოს ამოღებაში. თოვდა. მისი ხელები კი მარდად მუშაობდნენ.

## გულნაზის სათქმელი

ოთხი წელია, რაც გულნაზი ბარბაქაძემ გარდაბნის რაიონის სოფელ სართიჭალის პირველი საშუალო სკოლა დაამთავრა, ამ ცოტა ხნის წინათ პარტიაშიც მიიღეს, გეგმებსაც გადაჭარბებით ასრულებს. 1983 წლის პირადი გეგმა ჯერ კიდევ ოქტომბერში შეასრულა. მუყაითი, მაგრამ სიტყვაძუნწი გოგოა, სამაგიეროდ საქმეში იჩენს ფხას და სწორედ ეს არის მთავარი.

გატაცებაცა აქვს გულნაზის — კერვა უყვარს. ერთი გაჩვენათ რა ლამაზ კაბებს იკერავს. სამკერვალო რომ იყოს მის სოფელში, ნამდვილად უკეთ დაეუფლებოდა ამ საქმეს. თბილისში კი უჭირს გამგზავრება, არ უნდა საქმეს მოსწყდეს. საქმე კი უამრავია, ახალგაზრდები თითქმის ყველანი ქალაქს გაიკრიფნენ. მინდვრებში ხანშიშესული ქალები მუშაობენ, მაგრამ გულნაზი სულაც არ არის მოწყენილი. სადა აქვს მოსაწყენი დრო. ბევრს კითხულობს. კალათბურთიც უყვარს, მაგრამ რა, სოფელს სპორტული დარბაზი არ გააჩნია, კინომომსახურებაც ძალიან ცუდია, არადა, რა დიდი, ლამაზი და მოწინავე სოფელია სართიჭალა, რამდენი კარგი, მშრომელი და კეთილი ადამიანი ცხოვრობს იქ, კეთილმოწყობილი საშუალო სკოლებიც აქვთ, მაგრამ სოფელი უახალგაზრდოდ გაგონილა? აქაც მწვავე და მტკივნეულია მიგრაციის პრობლემა.

ბევრნი რომ იყვნენ, ბევრსაც შეძლებდნენ, სპორტდარბაზიც ექნებოდათ, კინოც და უფრო მეტი ლამაზი, მხიარული და შინაარსიანი საღამოებიც, მაგრამ ოცნება მხოლოდ ოცნებად რჩება.

გამრჯე, ენერგიული და მშრომელი დედაკაცები ილვწიან სართიჭალაში. რა დიდებულად ამბობდა სულმნათი ილია, — მადლიანი დედაკაციაო. განა ამაზე დიდი ჯილდო და საქებარი სხვა რამ შეიძლება იყოს! ახლა კი სიბერე შეჰპარვიათ ამ მადლიან დედაკაცებს, როცა დაიღლებიან და მოტყდებიან, მათ ვინღა შეცვლის? — აი, რის თქმა უნდა, რა აწუხებს გულნაზის!

სართიჭალას რომ ვტოვებდი, ისევ თოვდა. ახლა უკვე მძიმე, ღონიერი, ლამაზი ფიფქები ხატულა პეპლებივით ეფინებოდა დედამიწას. გზად მებოსტნეობა-მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორის ბიჭიკო მუხიაშვილის სიტყვები მაგონდებოდა:

— ჩვენთან, სართიჭალაში იმდენი კარგი ქალია, რომ გამორჩევა გამიჭირდებაო.

სწორია!

ჰოდა, მეც არავინ გამომირჩევია, ვინც კი ჩემთვის მოიცალა ამ გაგანია მუშაობის ჟამს, ყოველ მათგანს გამოველაპარაკე. გავიგე მათი აზრი, მათი ფიქრის გორგალიც დავიჭირე და ოცნება-სურვილებიც დავტყუე ზოგიერთს.

ირინე კუკავა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# პრინციპული ხასიათი



1936 წელს მოსკოვის არქიტექტურის ინსტიტუტის ვრცელ აუდიტორიაში მისაღები გამოცდები მიმდინარეობდა. მაგიდასთან ქერათმიანი მოხდენილი ქალიშვილი იჯდა და მშვიდად წერდა. ქალიშვილმა წერა დაამთავრა და გაბედულად უპასუხა დასმულ კითხვებზე. პროფესორი ვაისფელდი კმაყოფილი ილიმებოდა. მან ქალიშვილის პასუხები ხუთიანზე შეაფასა. აუდიტორია აღფრთოვანებული დარჩა. მისაღები გამოცდები გერმანულ ენაზე ჩააბარა თამარ ჩხუბიანმა. ეს უპრეცედენტო შემთხვევა იყო.

თამარ ჩხუბიანი დღეს რესპუბლიკის დამსახურებული არქიტექტორი, საქართველოს სსრ არქიტექტორთა კავშირის წევრი, შრომის ვეტერანი, ინსტიტუტ „ენერგოქსელპროექტის" საქართველოს განყოფილების მთავარი სპეციალისტია.

—არქიტექტორობა ჩემი ოცნება იყო, — ამბობს თამარი, — მშობლებს არ უნდოდათ მოსკოვში წავსულიყავი, მე კი მაინცდამაინც მოსკოვის არქიტექტურის ინსტიტუტში მინდოდა სწავლა. თბილისის გერმანული ათწლედის დამთავრების შემდეგ რუსულ ენაზე მისაღები გამოცდების ჩაბარება არ შემეძლო, და რა ბედნიერება იყო, რომ პროფესორმა ვაისფელდმა ნება დამრთო გერმანულ ენაზე მეპასუხნა. ოცნება ამისრულდა, გავხდი არქიტექტორი.

ძნელი, მაგრამ ლამაზი ცხოვრების გზა გამოიარა თამარმა: იყო საქართველოს არქიტექტურის ფონდის მხატვარ-მოდელიორი, ინსტიტუტ „გრუზგიპროტორგის" არქიტექტორი, აქედან სამუშაოდ გადავიდა „ვნიპისელექტროში", რომელიც შემდეგ ინსტიტუტ „ენერგოქსელპროექტის" საქართველოს განყოფილებასთან გაერთიანდა. ამ ინსტიტუტში თამარი იმ დროს მივიდა, როცა დიდი აღმავლობით მიმდინარეობდა საქართველოს სოფლის საწარმოო და საყოფაცხოვრებო მომხმარებლების ელექტროენერგიით მომარაგების დაპროექტება და მშენებლობა. აპროექტებდნენ 110,35,10—6 და 0,4 კილოვატიან გადამცემ ხაზებს, ქვესადგურებს და მცირე სიმძლავრის ორიგინალურ ჰესებს. ეს ინსტიტუტი დახმარებას უწევდა სომხეთის და აზერბაიჯანის რესპუბლიკების, კრასნოდარისა და სტავროპოლის მხარეების, დაღესტნის ასსრ, როსტოვისა და ტუმენის ოლქებისა და საბჭოთა კავშირის სხვა რაიონების ენერგოსისტემებს, ამიტომ თამარს ხშირად უხდებოდა მივლინებებში ყოფნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რელიეფური პირობების გამო ქვესადგურების დაგეგმარების დროს ყოველთვის არ ხერხდება ტიპობრივი პროექტების გამოყენება და საჭიროა არსებულ რელიეფურ პირობებს მათი მორგება. ეს კი დიდ სიძნელეებთან არის დაკავშირებული. ეს სიძნელეები მუდამ თან სდევდა თამარის საქმიანობას. ბევრჯერ ვყოფილვარ იმის მოწმე, თუ რა თავგამოდებით იცავდა ის თავის ნააზრევს. ერთხელ, როცა ინსტიტუტ „ელექტროქსელპროექტის" საქართველოს განყოფილების დირექტორთან ელიზბარ ერისთავთან ვსაუბრობდი თამარ ჩხუბიანზე, ბატონ ელიზბარს კეთილმა ღიმილმა გაუნათა სახე: „ოო, ქალბატონი თამარი უპირველესად დიდებული, შრომისმოყვარე და პრინციპული ადამიანია, პროექტებს ისე ადგენს, რომ არ უყვარს დადგენილი ნორმებიდან გადახვევა.

ვიგონებ ამ საუბარს და მეღიმება. თამარი მართლაც დიდებული, შრომისმოყვარე, პრინციპული ადამიანია. ფიქრი შორეულ წარსულს მისწვდა და მომაგონდა, თუ რა გაუთავებელი დავა ჰქონდათ მშენებლებსა და თამარს. დავა მშენებლობის პროცესში თამარის ავტორობით შედგენილი საცხოვრებელი სახლების პროექტების ნაწილობრივ გადაკეთებას შეეხებოდა.

— ვერ დავითანხმეთ თამარი, — მითხრა ერთხელ ღიმილნარევი წყენით ინსტიტუტ „ვნიპისელელექტროს" დირექტორმა სოსო ნადირაძემ. ავხედე ბატონ სოსოს და გავიფიქრე: ამ კაცისა მარტო პროფესიული ავტორიტეტი კი არა, გარეგნობაც კი მოწიწებას აღძრავს მეთქი. მაგრამ თამარის პრინციპულობა ხომ შეუვალია!

ქალბატონმა თამარმა გვაჯობა, ვერაფერს გავხდით, — გულდაწყვეტით ამბობდნენ მშენებლები.

ეს სახლები თბილისში აშენდა, დღეს იქ ენერგეტიკოსები ცხოვრობენ და თამარს, როგორც პროექტის ავტორს, მადლობით იხსენიებენ.

დიდია ქალბატონ თამარის ღვაწლი საქართველოს სსრ სოფლის ელექტროფიკაციის დაპროექტებაში. იგი ავტორია მრავალი ჰიდროსადგურის და ენერგეტიკოსების დასახლებისა, ნაყოფიერად მუშაობს ქართული სოფლების სამრეწველო კომპლექსების არქიტექტურული სახის შექმნაზე. სად არ ჰქონია თამარს მივლინება და ყველგან სიამოვნებით მიდიოდა, პასუხისმგებლობას გრძნობდა. მაგრამ ზოგჯერ უჭირდა, დედა იყო და პატარა გიას დატოვება გულს ტკენდა. მეუღლეც, რესპუბლიკის დამსახურებული მხატვარი, მოქანდაკე თეიმურაზ ასათიანი, ძალზე დატვირთული იყო საქმით, მაგრამ თამარი მაინც მიდიოდა ჟინვალის, ჯირხვის, ტირიფონის, კაბალის, კახარეთის, დურიპშის, კელასურის ჰესებზე, საქსოფლელექტროს რაიონული განყოფილებების, საცხოვრებელი სახლებისა და საწარმოო ბაზების მშენებლობის ობიექტებზე. დიდებულია შავი ზღვის სანაპიროზე მისი პროექტით აგებული ენერგეტიკოსების დასასვენებელი სახლები!

განსაკუთრებული სიამოვნებით იგონებს თამარი ტუმენის ოლქში გატარებულ დღეებს, სადაც ათი წლის მანძილზე ხშირად უხდებოდა მივლინებაში ყოფნა. პირველ ხანებში მასთან ერთად დადიოდნენ გეოლოგები და ტოპოგრაფები, მერე კი მარტო მიემგზავრებოდა ხოლმე. მძიმე იყო მუშაობის პირობები. ამიტომ ძირითადად სამუშაოებს გაზაფხულზე და ზაფხულში ასრულებდნენ. თამარმა იქ მრავალი საცხოვრებელი სახლი და პროფტექნიკური სასწავლებლის შენობა დააპროექტა. განსაკუთრებით აღსანიშნავია პირველი ხუთსართულიანი აგურის საცხოვრებელი სახლების დაპროექტება და მშენებლობა. თამარს მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა ტიუმენელ მშენებლებთან. აღმასკომის თავმჯდომარე, მთავარი არქიტექტორი და ტრესტის ხელმძღვანელები კმაყოფილნი იყვნენ მისი. ეს იმიტომ, რომ თამარს არ უყვარს საქმის სანახევროდ გაკეთება, რასაც აკეთებს, გულით აკეთებს. ამიტომაც დაჯილდოვდა მრავალი ქების სიგელით და ინსტიტუტის „საპატიო წიგნშიც" შეიტანეს.

თამარი ერთგულად და პასუხისმგებლობით ეკიდება საზოგადოებრივ საქმესაც. იგი ინსტიტუტის ქალთა შორის მუშაობის საბჭოს თავმჯდომარეა. აქ კი უკიდეგანოა მისი ფანტაზია და შემოქმედება. დიდხანს ეხსომებათ ინსტიტუტის თანამშრომლებს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომპარტიის შექმნის მესამოცე წლისთავის გამო გამოცხადებულ კონკურსში დევიზით „საუკეთესო სამუშაო ოთახისათვის". კონკურსს ცხოველი ინტერესით გამოეხმაურა თითოეული თანამშრომელი. დიდი გემოვნებით და შინაარსიანად გააფორმეს თემატიკური სტენდები. განყოფილებები თავისი პროფილით იყო წარმოდგენილი. მუშაობისათვის სასიამოვნო განწყობილებას ქმნიდა გემოვნებით მორთული, მწვანეში ჩაფლული ოთახები. ამიტომ ეუბნებოდნენ თამარს ინსტიტუტის თანამშრომლები: შენ აგაშენა ღმერთმა, ასეთი კარგი საქმე რომ წამოიწყეო. ინსტიტუტის თანამშრომლების ბავშვების ნამუშევრების გამოფენა მოეწყო. ეს ბავშვთა ფანტაზიით შექმნილი რაღაც დიდებული სანახაობა იყო. ხელსაქმისა და ჭრა-კერვის ნიმუშებიც გამოაფინეს. საინტერესო იყო კონკურსი-გამოფენა „კულინარია". ჩაის დღეები.

— იცი, ბებია გავხდი! — მითხრა ერთ დღეს გახარებულმა თამარმა. დიახ, ის უკვე ბებიაა, მაგრამ ახალგაზრდული ენერგიით საქმიანობს, კვლავ მაგალითია სხვებისათვის — კეთილშობილებით, გულისხმიერებით, შრომისმოყვარეობით, ინტელიგენტურობით, დახვეწილი გემოვნებით და ბოლოს მაინც — პრინციპულობით.

ვერა თოფურია,
ინჟინერ-ენერგეტიკოსი

## მონადირის შიშით

დედიკო, ტყეში ბევრია შველი?
(შვილის ტიტინით ვტკბები),
ირემი დედი! რამ გაუზარდა
თავზე ამხელა რქები!
დეკემბრის ხეებს რად დაატარებს.
ანდა არ უშლის ძილში?
რად არ უყვავის დედი, ტოტები?
ჰოო,
მონადირის შიშით!

## დალოცვა

ხალხურ კილოზე

ისე აშენდი ოჯახში,
როგორც ჰერემი აშენდა,
და განა მარტო აშენდა,
ახმაურდა და დამშვენდა.
აქავ გაზრდილი ბიჭები
მოგეჩვენება რაშებად,
ჯერ დაბმა გაგიჭირდება,
მერე იმათი აშვება,
შენ აგიშენდა ოჯახი,
როგორც ჰერემი აშენდა!

## ასეთი ლამაზი მამული

ჯარისკაცის ფიცივით შრიალებს,
შრიალებს მამული ჩემი,
მწვანეა ხეზე და მიწაზე,
დამდგარა სიმწვანის ჯერი.
ძირგამოთოხნილი ვაზები
ცალ ფეხზეც ლამაზად დგანან,
თონე აანთეთო, შრიალებს,
შრიალებს პურსავსე ყანა;
მამულში გაზრდილი ხეები
საყვარელ შვილებსა ჰგვანან!

## თოვლი

თმებზე მეფერება თოვლი
დედის ხელივით თბილი,
თქვენთან და კვლავ თქვენს შორის,
იმედიანად ვივლი.
ფიფქები...
ფიფქები მღერის,
შრიალ-შრიალით თრთოლვა,
თბილი, რა თბილი ხელი,
თეთრი, რა თეთრი თოვა,
დედის ღიმილი, თორემ,
თოვლი ყოველთვის მოვა.

ნუნუ ყალაბეგაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოთარ დემეტრაშვილი

# ელისო



მხატვარი დ. ზარაფიშვილი

მოთხრობა

— ფული გაქვს?

რამდენიმე ნაბიჯი უსიტყვოდ გავიარეთ. როცა ლამპიონებით გაკაშკაშებულ ორსართულიან შენობას გავუსწორდით, ელისო შეჩერდა, უცნაურად ამომხედა და უფრო ხმადაბლა მკითხა:

— აღარ დაგრჩა?

— არა. რაც მქონდა, მოგეცი.

მთვარიანი ღამე იყო. მილეული ზაფხული მძლავრობდა და ჯერ კიდევ ცხელოდა.

— შევიდეთ, — ელისომ აივანზე მანიშნა.

ლამპიონებით გაკაშკაშებული შენობა ხომალდის კოჩოსავით შეჭრილიყო წყალში. დარბაზში მუსიკა უკრავდა. გარეთ, მტკვარზე გადმოკიდებულ აივანზე, ტანგოს ცეკვავდნენ.

— შევიდეთ, ფული მე მაქვს.

— ეგ ფული არ გვეყოფა.

ელისო მკლავზე დამეყრდნო. ფეხის წვერებზე შედგა და ყურთან მიტანილი ტუჩებით ჩამჩურჩულა:

— სხვა ფულიც მაქვს.

შეჩერდა და განაგრძო:

— გინდა, ერთი საიდუმლო გითხრა?

არ შემოუხედავს,იცოდა,რასაც ვეტყოდი და დამასწრო:

— შევიდეთ, და იქ გეტყვი.

— მაინცდამაინც იქ?

— კი.

როცა თითბრის სახელურიან მუხის ვეება კარს მივადექით, ელისოს მკლავზე შევავლე ხელი. დავიხარე და ახლა მე ჩავჩურჩულე ყურთან მიტანილი ტუჩებით:

— საიდუმლო გზაში მითხარი... წავიდეთ, შეიძლება იწვიმოს.

— იწვიმებს და იწვიმოს!

— აივანზე ვერ დავჯდებით.

— დარბაზში დავჯდეთ.

აივანზე დავჯექით. კუთხეში. მიმყუდროვებულ ადგილზე.

მტკვარი დგაფუნობდა. ხანგამოშვებით, როცა ქარი დაუბერავდა, ჰაერში რაღაც საამო სუნი ტრიალებდა, აი ისეთი, ზღვაზე რომ შეიგრძნობა ხოლმე.

ელისო თავდახრილი იჯდა. შუბლი აივნის მოაჯირზე მიედო და ლამპიონებით ალიცლიცებულ მტკვარს გადასცქეროდა.

— რას დალევ? — მოულოდნელად მკითხა ელისომ.

— რასაც შენ დალევ.

— შამპანურს დავლევ.

— რომელს?

— თეთრ ტილოში გახვეულს. ყურებიან ვედროში ჩაციებულს. იმას... იმას რომ ისვრის...

— რას?

— ეშმაკუნებს... წინწკლების უთვალავ ეშმაკუნებს.

მეზობელ სუფრაზე ახმაურდნენ.

წითური ბრაზობდა. თმახუჭუჭა, ძვალმსხვილი, მკვრივად ჩადგმული შუახნის კაცი.

— ანია! — ყვიროდა ფეხზე წამომხტარი წითური და აქეთ-იქით აცეცებდა გადმოკარკლულ თვალებს.

ანია არ ჩანდა.

წითურის გვერდით ჩამომჯდარი ახალგაზრდა ქალი თვალებს ნაბავდა. წინ წამოწეული ტუჩებიდან რგოლ-რგოლად უშვებდა სიგარეტის კვამლს. სკამიდან გადმოხრილი წამდაუწუმ მაგიდის ქვეშ ჰყოფდა კისერწაგრძელებულ თავს.

როცა ოფიციანტი მოგვიახლოვდა, წითურმა მესამედ დასჭექა:

— ანია!

ლავსანის თეთრ, ულაზათოდ შეკერილ კოსტუმში გამოწყობილ ოფიციანტს ავხედე.

მიმიხვდა. მაშინვე დაიხარა. პირთან გაშლილი თითები მიიფარა და ხმადაბლა მითხრა:

— ორივე მთვრალია.

— ქალიც?

ოფიციანტმა თავი დამიქნია. ახლა, მეორე ხელში მომარჯვებული, გადაშლილი ბლოკნოტი მიიტანა პირთან:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ეგ წითური კაცი იმიტომ ბრაზობს, რომ მაგიდა ყანყალებს და ვერაფერი მოუხერხეს.

შეჩერდა და განაგრძო:

— მაგათ სუფრას სხვა ოფიციანტი ემსახურება... აგერ ის ქალი... ანია.

გავხედე. დარბაზიდან აივანზე გამოსასვლელ კართან მაღალ-მაღალი, ჩალისფრად თმაშეღებილი დედაკაცი გამორბოდა.

მუსიკამ დასცხო.

აქეთ-იქიდან წამოიშალნენ. მაგიდებშუა დარჩენილი ცარიელი ადგილი თანდათან შეავსეს შილიფად ჩაცმულმა მოცეკვავე წყვილებმა.

— ვიცეკვოთ?

ელისომ თვალი ამარიდა. ამოიოხრა და მისთვის უჩვეულო გაბზარული ხმით მითხრა:

— არ ვცეკვავ.

ღამემ თავისი გაიტანა. წამოგრილდა. დროდადრო, როცა ხმაური მიწყნარდებოდა, აივანზე ისევ მოისმოდა მტკვრის დგაფუნი.

— რა საიდუმლო უნდა მითხრა?

თითქოს ვერ გაიგო. წელში მოიმშვილდა. მოჭუტული თვალებით გახედა ყელყელა ჭიქაში მოცქრიალე შამპანურს.

ერთხელ, აღარ მახსოვს სად, — ველარც ის აღვიდგინე გონებაში, ვინ, — კაცმა თუ ქალმა, — ასეთი რამ მითხრა:

— ქალის კარგი თმა ერთ ქალად ღირს!

წაბლისფერი თმა ჰქონდა ელისოს. ხშირი. ოდნავ ხვეული. ბეჭებზე დაყრილი.

შეაცურებდა თითებს. მოისვამდა კისერზე. ასწევდა თმას. გაუშვებდა ხელს. დაიქნევდა თავს.

დაიქნევდა თავს და შუბლთან, საფეთქლებთან, ყურებთან, ბეჭებთან, მაშინვე ისევ კოხტად, ისევ კარგი ქალის ფასად ლაგდებოდა მისი ოდნავ ხვეული, მსხვილი და ხშირი, მუქი წაბლისფერი თმა.

— რაზე ფიქრობ?

— ხმაზე.

ელისომ გაოცებით ამომხედა.

— ერთხელ, აღარ მახსოვს სად, ველარც ის აღვიდგინე გონებაში ვინ, — კაცმა თუ ქალმა, — ასეთი რამ მითხრა...

— იტყვი, თუ არ იტყვი?

— ვიტყვი. ასეთი რამ მითხრა: — ქალის კარგი ხმა ერთ ქალად ღირსო!..

— დავლიოთ?

— ქალის ხმის სადღეგრძელო?

— არა. ქალის კარგი ხმის და ქალის კარგი თმის სადღეგრძელო.

სიჩუმე ჩამოვარდა.

ელისო თავაწეული იჯდა. სადღაც შორს, მტკვრის მიღმა გასცქეროდა სივრცეს.

— რა საიდუმლო უნდა მითხრა?

— გითხრა?

— მითხარი.

და მაშინ, როცა ელისომ თავი გაიქნია, მობრუნდა და რაღაცის თქმა დააპირა, აივანზე მეხივით დაიჭექა როხროხა ხმამ:

— ანია!

ანია არ ჩანდა. ის წყეული ისევ სადღაც დაკარგულიყო.

წითური წამოხტა. ერთი პირობა დაბოღმილი იდგა. აქეთ-იქით აცეცებდა გადმოკარკლულ თვალებს. მერე ხელი ჩაიქნია. შეიკურთხა და ჯიბიდან ფრთხილად ამოაცოცა ფულის დასტა.

ბევრი იყო. გაყო. ნახევარი გულისჯიბეში ჩაიბრუნა. ხელში შერჩენილი ოცდახუთმანეთიანები გაშალა. ჩაიმუხლა. აყანყალებული მაგიდის ფეხს მიუმარჯვა. შეაცურა და მიასწორ-მოასწორა.

— აბა ეხლაც იყანყალოს! — ამაყად წარმოთქვა ფეხზე წამომხტარმა წითურმა და გოროზი იერი მიეცა.

ქარი ჩადგა.

ცა ვარსკვლავებით მოჭედილიყო. პირსავსე მთვარეს შევცქეროდი. შევცქეროდი და ვერ გამეგო — მისი შუქი ბრდღვიალებდა თუ ლამპიონების კაშკაშა სინათლე ილვრებოდა რესტორანთან ჩარიგებული ხეების ფოთლებიდან.

— მეცოდება.

— ვინ გეცოდება?

— ეს, — ელისომ მეზობელ სუფრას გახედა, — აი, ეს ქალი მეცოდება... „ბრავო".

შესაცოდი არაფერი ჰქონდა. იჯდა. ფეხი-ფეხზე გადაედო. წითურს ეგლისებოდა. წინ წამოწეული ტუჩებიდან რგოლ-რგოლად უშვებდა სიგარეტის კვამლს.

— რატომ გეცოდება?

— ყავლი გაუვიდა და იმიტომ.

— შენ რა იცი?

— ვიცი. გუმანით ვხვდები... უთხარი, ერთიც მოიტანოს...

თავზე წამომდგარ ოფიციანტს შემართული თითი დავანახვე. გაიღიმა. მოხრილ ხელზე გადაკიდებული ქათქათა ხელსახოცი შეასწორა და მდაბლად დამიკრა თავი.

გაიქცა. მოიტანა. გახსნა და დაგვისხა.

მდუმარედ შევცქეროდით: გამჭვირვალე ყელყელა ჭიქებში აქაფებული შამპანური აქეთ-იქით შუშხუნით ისროდა ნინწკლებს.

— ქალს, — ელისო შეჩერდა და მაშინვე განაგრძო, — როგორ გითხრა?.. ყველა ჭკვიან ქალს, რაღაც ინტუიცია და შეუცნობი უტყუარი ალღო აქვს.

— ასე იყოს. მერე?

— თავისი უტყუარი ალღოთი ქალი ყოველთვის ხვდება, როგორი თვალით უყურებს კაცი.

— ასე იყოს. მერე?

— შეხედე ქალს... თუ გინდა, მაშინ შეხედე, როცა ქუჩის იქითა მხარეს მიდის. გამოეპარება? ნურას უკაცრავად! შეხედავ და მაშინვე შეამჩნევს შენს მზერას. ასეა?

— მგონი.

— მგონი კი არა, ასეა! ქალი ხშირად იმასაც ხვდება, უკანიდან როგორი თვალით მიაცილებს კაცი.

ელისომ თავი გაიქნია. მომხედა და განაგრძო:

— ქალმა შეიძლება თავი მოიტყუოს. მოიტყუოს-მეთქი! მოტყუებით კი ძალიან ძნელია, ჭკვიანი ქალი სიყვარულში მოატყუო. გჯერა?

— ისე, რა!

— დაიჯერე. მიდი საყვარელ ქალთან. მიდი და უთხარი — მძულხარო. მოტყუვდება? არამც და არამც! რაღაც დეტალით, ნიუანსით, უტყუარი ქალური ალღოთი, ბოლოს მაინც მიხვდება, რომ ცრუობ.

შეჩერდა და მაშინვე დასძინა:

— ჭკვიანი ქალი იმასაც ხვდება, ტყუილად როდის ეუბნებიან, მიყვარხარო!

— კიდევ რას ხვდება?

— კიდევ? — ელისო გაისუსა, — კიდევ იმას ხვდება, რომ აი, ამ წითურ, შუახნის კაცს ეშმაკი ჩაუძვრა. დავთრები აერია. ოფიციანტ ანიასაკენ გაურბის თვალი და კოკობზიკა ახალგაზრდა საყვარელი საბოლოოდ მოიყირჭა.

— იქნებ ცოლია?

— ცოლები რესტორანში დასათრობად არ დაჰყავთ... გარდა ამისა...

— აღარ გინდა! — ელისო ხელის აწევით შევაჩერე. დავწვდი. დანაკლულებული ბოთლებიდან სასმისები მოვაპირთავე და სმენად ვიქეცი.

— წელან, — ელისომ თავი გაიქნია, — გახსოვს? წელან რომ კარი გაიღო, შემოსასვლელთან რაღაც გახმაურდა და ყველამ კარისაკენ გაიხედა.

— მახსოვს-მეთქი.

— წითურმა და ანიამ დრო იხელთეს. ერთმანეთს გახედ-გამოხედეს და თვალებით რაღაცა ანიშნეს.

— ანიშნეს?

— კი. წითურის ტურფამ მაშინვე, იმწამსვე შეასწრო თვალი. ერთმა წამმა ყველაფერი ნათელი და გასაგები გახადა მისთვის... ლომი თუ გინახავს... კინოში გადაღებული გააფთრებული ძუ ლომი?

— ძუ ლომს დაემსგავსა?

— კი. აენთო. აცახცახდა. ქვედა ტუჩი მოიკვნიტა და... გაიღიმა.

— რა მოიგო ამ ღიმილით?

— დრო.

ელისო გარინდებული იჯდა. იქვე, შორს კი არა, იქვე — მტკვრის

ეროვნული
ბიბლიოთეკა



გადმოლმა, — მოჭუტული თვალებით გასცქეროდა მანქანებით ახმაურებულ სანაპიროს.

ვდუმდი და ვუცდიდი. ვიცოდი, მოიქეიფიანებდა, დაიქნევდა თავს, მომიღიმილებდა. წვრილ-წვრილად მეტყოდა, რა დრო მოიგო წითურის კოკობზიკა ახალგაზრდა სატრფომ.

სასიამოვნო ხმა ჰქონდა ელისოს. ნაზი და ნარნარი. სწორედ რომ კარგი ქალის სადარი.

დინჯად საუბრობდა, ხმადაბლა, ნათლად და ლაკონურად. როცა უნდოდა რაიმე გამოეყო, პაუზას აკეთებდა. სიტყვას ანაწევრებდა, მარცვალ-მარცვალ წარმოთქვამდა და მაშინვე ისევ დინჯად და ნათლად აგრძელებდა შებორძიკებულ საუბარს.

— ამ ქალმა, — ელისომ შოკოლადი მოკვნიტა, — ამ ჭკვიანმა, ახალგაზრდა ქალმა, კარგად იცის, რომ სიყვარულის ყავლი გაუვიდა. ისიც იცის, წითური მალე სიზმარივით დაივიწყებს მას, — ახლა ხელით მოტეხა შოკოლადის კვნიტი, — აყალმაყალით არაფერი გამოვა. უნდა მოითმინოს, მიელაქუცოს, მისაგები მიაგოს, დრო მოიგოს, — ელისომ ხელში შერჩენილი შოკოლადის ფილა გაირიდა, — ისე უნდა დაიჭიროს თავი, თითქოს ვერაფერს ხვდება, რომ...

— უყვარს და იმიტომ?

— უყვარს. კაცი კი არა... წითურის შეყვარება შეუძლებელია! ბეჭდები და სამკაულები უყვარს... ზიზილ-პიპილები უყვარს... ყურებზე ჩამოკონწიალებული აგერ ის ბრილიანტის ძვირფასი საყურეები უყვარს...

მე და ჩემმა ღმერთმა, მგონი, მართალს ამბობდა ელისო!

— ქალის სული ამოუცნობია, — აიჩემა. მოიმარჯვა. აიღო და ისევ მოკვნიტა შოკოლადი, — ადამიანი, მალე, ალბათ, სხვა გალაქტიკაში გაიჭრება. მთლიანად ამოხსნის, ჩაწვდება და შეიცნობს სამყაროს საიდუმლოს, სული... ქალის სათუთი სული კი ბოლომდე მაინც ამოუცნობი დარჩება კაცისათვის...

— შენ გინდა, თქვა...

— მოიცა, ვთქვა!

ელისო ყოყმანობდა. ბოლოს, როცა გადაწყვიტა ეთქვა, გაიქნია თავი. დიდრონი, უძირო, ცისფერი და მართალი თვალები მომანათა სახეში.

— თვრამეტი... არა, ცხრამეტი წლისა ვსრულდებოდი, როცა მდიდარი საქმრო გამომიჩნდა. დასაწუნი არაფერი ჰქონდა: შეხედულიც იყო, განათლებულიც, კარგი ოჯახიშვილიც.

— გიყვარდა?

— ერთხელ, ჩემი საქმრო ტაშკენტში მივლინებით გაგზავნეს. ორი კვირა დარჩა. როცა ჩამოვიდა, დაგვირეკა — მომენატრეთ, მოვალ, მოგინახულებთ და ერთად ვისადილოთო.

— ოჰო!

— დაზურგული მოვიდა. კალათი მოიტანა. ბაზარში გამოევლო. ევაჭრა და სადილისათვის უამრავი სანოვაგე ეყიდა.

— სიძე, შე ძველო!

— მოიცა! — ელისომ მწყრალად შემომხედა, — მოვიდა. მოგვესალმა. დედაჩემს ხელკავი გაუკეთა. სამზარეულოში გაიყვანა და კალათიდან მოტანილი სანოვაგის ამოლაგება დაიწყო.

ელისო წამით ჩაფიქრდა.

— როცა ხორცს იღებდა, თვალები გაუბრწყინდა. გაიჯგიმა. ქარვისფერი ნაჭერი შეატრიალ-შემოატრიალა. დაყნოსა და ლამის იყო ზარზეიმით დასჭექა:

— ანტრიკოტია! პირველი ანტრიკოტი!

ელისო მიყუჩდა.

ვდუმდი და ვუცდიდი.

მოიქეიფიანა. გაიღიმა. საჩინო სევდით გაიღიმა და ფიქრებში წასულმა წამოიწყო:

— ვღელავდი. არ დაგიმალავ — ორი კვირის უნახავ საქმროსთან შეხვედრა მაფორიაქებდა. კდემით მავსებდა. აქამდე ჩემთვის უცხო ვარდისფერ ბურანში მხვევდა და საამოდ მანანავებდა.

— მერე?

— ბურანი გაქრა. სამზარეულოში უცხო კაცი იდგა. იდგა და რამდენიმე მიხაკის... არა... ერთი... თუნდაც [illegible] მინდვრის უბრალო გვირილის ნაცვლად, ხელში ანტრიკოტი ეჭირა.

— პირველი ანტრიკოტი!

— როცა ერთმანეთს შევხედეთ, მაშინვე მივხვდი, ამ უცხო კაცის კმაყოფილი ღიმილი მე კი არა, ანტრიკოტს ეკუთვნოდა. პირველ ანტრიკოტს!

ელისომ ამოიოხრა.

— ისიც ვიმცნაურე — ჩემი საქმრო ვერასოდეს გაიგებდა, რა ბოღმა და ბალღამი ტრიალებდა ცხრამეტი წლის თავდახრილი ქალიშვილის სათუთ სულში.

— მერე?

— ეს იყო და ეს!..

ელისოს თანდათან მოეკიდა სასმელი. წამოენთო. ახმიანდა. უფრო მეტად აუბრწყინდა თვალები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯერ არ სვამდა. როცა მივაძალე და ერთი ჭიქა შამპანური შესვა, გაიიოლა. თხოვნა აღარ დასჭირებია. სვამდა. წრუპვა-წრუპვით სვამდა და სანახევროდ ცლიდა ყელყელა ჭიქას.

რესტორანს ხალხი მოეძალა. დარბაზში მუსიკა უკრავდა. აივანზე გახვითქული ოფიციანტები დაჭენაობდნენ.

იქვე, ჩვენი მაგიდის მარჯვნივ, გამოღებულ სარკმელთან ჩამოკიდებული ტულის ფარდის მიღმა, დარბაზი მოჩანდა.

ხალხით გაჭედილი, ჭერმაღალი, ოვალური დარბაზი.

შევცქეროდი. შევცქეროდი და ვერ გამეგო, შემოსასვლელის გვერდით მიხუხულავებულ ციცქნა ესტრადაზე როგორ ეტეოდა ოთხი დამკვრელი, უზარმაზარი დოლი, ორი ბაიანი, პიანინო და დიპლიპიტო.

სოლისტიც ჰყავდათ.

მიკროფონთან ქალი მიმდგარიყო. ზანგივით თმახუჭუჭა. მსხვილბარძაყა. დიდძუძუებიანი ძონძროხა ქალი.

მღეროდა. სომხური „წინწერნაქი“ დაამთავრა. ახლა ესპანელ ტორეადორზე დაწერილ იტალიურ რომანსს რუსულად მღეროდა.

— აქ... აი აქ... აივანზე.., რამდენი ქალი ზის ჩემზე უკეთესი?

ელისო დაღვრემილი იჯდა. თავი დაეხარა. მუხლზე შემოდებული ხელის გაშლილ თითებს დასცქეროდა.

— არცერთიო, გინდა მითხრა, არა?

მიმიხვდა. ასე მინდოდა მეთქვა.

ძონძროხა სიმღერას ამთავრებდა. ამთავრებდა და, მგონი, თვითონაც თავდებოდა.

— წელან.:

ელისოს რაღაც აწუხებდა. რაღაც დიდი, გაუძლისი, გულში ჩაგუბებული ბოღმა.

— წელან... აქეთ რომ მოვდიოდი, მაშინ... შორიდანვე დავინახე, აი ეს კაცები როგორ ელოლიავებოდნენ ქალებს..,

ელისომ ამოიოხრა.

— დავინახე და შემშურდა... — ამ ქალების ბედი შემშურდა... შემშურდა და რა ვქნა?!

„რუმბას“ უკრავდნენ. აჟრიამულებულ აივანზე რეპროდუქტორთან ძველებური საცეკვაო მუსიკის მელოდია ჟღერდა.

— მომენატრა... იცი, როგორ მომინდა და მომენატრა,, ჩემთვისაც ეზრუნა ვინმეს.

ელისო ტიროდა.

— აქ შემოსვლა მომინდა... ქვრივ ქალს ქალად გახდომა მომინდა... დედას გეფიცები, სიმღერა და ცეკვა მომინდა... მომინდა და რა ვქნა?

— შენ რა, ცეკვავ?

— კი. როცა ძალიან მომენატრება, ვცეკვავ.

ამომხედა. აწყლიანებული თვალებით ამომხედა. გულში ჩამწვდომი სევდიანი ღიმილით ამომხედა და მკითხა:

— ვიცეკვოთ?

— ვიცეკვოთ.

კარგად ცეკვავდა. მსუბუქად და მოქნილად. წელში გამართული მოხდენილად უნაცვლებდა ერთმანეთს ჩამოქნილ ფეხებს.

მიმიხვდებოდა ჩანაფიქრს. გააკეთებდა წინსვლას. შემობრუნდებოდა. გაიქნევდა თავს და ნარნარი რხევით ისევ სწრაფად და მოხდენილად უნაცვლებდა ერთმანეთს აცეკვებულ ფეხებს.

— ჩემი ხმა მოგწონს, მგონი, არა?

— კი,

— თმა?

— თმაც მომწონს.

— კიდევ რა მოგწონს?

— თვალები.

მომხედა და აღარ მოუცილებია თვალი.

— ერთი ბოთლი შამპანური კიდევ დავლიოთ. ჰო?

— ფული არ გვეყოფა.

წინ კნაჭა ქალი და ღიპიანი კაცი ცეკვავდნენ. ჩვენს უკან — კნაჭა კაცი და მსუქანი ქალი.

იქით, აივნის კუთხეში, მიმყუდროვებულ ადგილზე, ჩალისფერთმიანი ანია და გაოფლილი წითური ცმუკვა-ცმუკვით ბუქნაობდნენ.

— იქნებ გვეყოს? — ელისომ ხელზე ხელი მომიჭირა, — ჰა? იქნებ გვეყოს?..

— ნწ!

არ მესმოდა, მაგრამ ვგრძნობდი, რომ მტკვარი დგაფუნობდა. ხეების ფოთლებიდან ისევ თვალის მომჭრელად იღვრებოდა ბრდღვიალა შუქი.

ელისომ გაიღიმა. განაწყენებულმა გაიღიმა და დაჟინებით მიაშტერდა რაღაცას.

არ გამიხედავს, ვიცოდი, წითურის მაგიდის მოყანყალებულ ფეხს უყურებდა ელისო.

შალვა ამონაშვილი,
ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი
პროფესორი.

## წერილები ჩემს ქალიშვილს

# გონიერსა მწვრთნელი უყვარს

(წერილი მეხუთე)

სალამო მშვიდობისა, ჩემო გოგონი!

როგორ დასრულდა თქვენი მეჯლისი? წარმომიდგენია, რამდენს იცინებდით, იხმაურებდით. გაიხსენებდით თქვენი სასკოლო ცხოვრების განსაკუთრებულ მოვლენებს და ახლაღა გაუთამამდებოდით და გამოუტყდებოდით მასწავლებლებს, რომლებიც მეჯლისზე გეწვივნენ: „გახსოვთ, მასწ. გაკვეთილზე ფურცვა და პუშკა კარადაში რომ დაიმალნენ? თქვენ გინდოდათ კარადის კარი მიგეხურათ, ისინი კი კინაღამ შიგ გაიჭყლიტნენ! თქვენ, მასწ., ერთხელ მშობლის მოყვანა მომთხოვეთ. აბა, მამაჩემს როგორ გავუბედავდი! ჩემი მეზობელი მოგიყვანეთ, მამაჩემია მეთქი. თქვენ გაგიკვირდათ, რა ახალგაზრდა მამა გყავსო!“

მართლა, როგორ მოეწონათ ამხანაგებს შენი კაბა? გახსოვს, როგორ შფოთავდი ამ კაბის გამო? მკერავი ვერ მომისწრებსო. უსიამოვნებაც შეგხვდა. შენ ისიც კი გეწყინა, როცა ჩემს წერილში, რომელსაც ასე დავარქვი — „წყენააო ჭირთა ბადე“, ამ კაბის შეკერვასთან დაკავშირებული ინციდენტი გაგიანალიზე. მე წერილებს იმიტომ კი არ გწერ, რომ გაქო, როგორი ჭკვიანი და კარგი ხარ, არამედ იმიტომ, რომ დაგეხმარო საკუთარი თავის შეცნობაში, ხასიათის სრულყოფაში, ადამიანებთან ურთიერთობის საიდუმლოებათა დაუფლებაში. დღეს მთელი ოჯახი შენს მომსახურებას მოვუნდით: ბებია სამეჯლისო კაბას უქარგავდა, დედა სამეჯლისო ტორტს გიმზადებდა, ძმა რჩევებს გაძლევდა, როგორ დაგეჭირა თავი მეჯლის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზე (შენ მას ირონიით უსმენდი), მე კი ამ წერილს ვწერდი. მეჯლისზე ძმამ გაგაცილა, მოგვიანებით ისევ მოვიდა და შინ მოგიყვანა — ბედნიერი, კმაყოფილი და დაღლილი.

აი, ასე დარჩა უკან სასკოლო ცხოვრების თერთმეტი წელი. და ვიდრე შენ მეჯლისზე იყავი, მე ამ წარსულ წლებზე ვფიქრობდი, ვფიქრობდი იმაზე, როგორ ყალიბდებოდა ჩემი ქალიშვილი, რა გზა გამოვიარეთ ჩვენ ყველამ ერთად — ქალიშვილმაც, მშობლებმაც და ორმოცამდე მასწავლებელმაც, რომლებმაც შენს ცხოვრებაზე მეტ-ნაკლები გავლენა მოახდინეს. აღზრდის ეს თერთმეტწლიანი გზა სწორი იყო, მაგრამ, ვფიქრობ, მისი ზოგიერთი მონაკვეთი შეგვეძლო უკეთ გაგვევლო. აღმზრდელებს დაუსრულებლივ ერთი და იგივე შეცდომა მოგვდის: ნაკლებ ყურადღებას ვაქცევთ მოზარდის პიროვნების, მასში ცხოვრებისეული პოზიციის, ცხოვრებისეული გეგმების ჩამოყალიბებას, თითქოს ყველაფერი ეს ისეთი რამ არის, რომ თავისთავად მოჰყვება კარგ ცოდნას, მეცნიერებათა საფუძვლების ღრმად დაუფლებას, ხუთიანებსა და ოთხიანებს. რაზე ლაპარაკობს საშუალო სკოლის დამთავრების ატესტატი? ნუთუ მართლა სკოლადამთავრებულის სიმწიფეზე? სიმწიფის ატესტატიო! საერთოდ, რა სიმწიფეზეა ლაპარაკი? ძალიან შევცდებით თუ ვიფიქრებთ, რომ ეს ატესტატი (რომელშიც სხვა არაფერია, გარდა სასწავლო საგნების ჩამოთვლისა და მათ გაყოლებაზე ჩამწკრივებული ციფრებისა) სკოლადამთავრებულის მოქალაქეობრივი ცხოვრებისათვის მზად ყოფნას ადასტურებს. ატესტატი მაშინ იქნება მოზარდის სიმწიფის გამომხატველი, თუ გვეცოდინება, რომ მის მფლობელს შეუძლია და უყვარს კიდეც შრომა, აქვს ვალდებულებისა და პასუხისმგებლობის გრძნობა, მისი პიროვნული ხასიათი საზოგადოებრივი კეთილდღეობისკენ არის მიმართული და არა მხოლოდ საკუთარი ბედნიერებისაკენ. მოკლედ, სიმწიფის ატესტატმა ის კი არ უნდა თყვიროს, რანაირი ხასიათის ცოდნათა შეუკრებადი ჯამია მოქცეული ამა თუ იმ ახალგაზრდის თავში, არამედ თავმდაბლურად წარმოადგინოს ეს ახალგაზრდა, როგორც სრულყოფილი პიროვნება, როგორც მოქალაქე, როგორც ახალი ადამიანი. მე შენს ატესტატს იმდენად ვაფასებ, რამდენადაც სხვა გამოსავალი არა მაქვს, რადგან დღესდღეობით სკოლა სხვანაირ დოკუმენტს არ იძლევა, ისე კი მჯერა, რომ მომავალში შეიძლება სასაცილოდაც მოგვეჩვენოს ყველანაირი ატესტატის ე. წ. საშუალო არითმეტიკული ქულა, რადგან არ არსებობს, ვთქვათ მათემატიკურ და ლიტერატურულ ცოდნათა ჯამი და, ბუნებრივია, არც მათი განაყოფი შეიძლება არსებობდეს. მით უფრო გაუგებრობაა, როცა შეუკრებადი რიცხვების ჯამის განაყოფს მაინც ვპოულობთ და მისი მიხედვით ვმსჯელობთ უკვე სულ სხვა რამეზე — ადამიანზე, მის ავკარგიანობაზე. იცი, რას გავს ეს? ოთხ კაკალს სამი კაკლის ფოთოლი რომ მივუმატოთ, შემდეგ ორზე გავყოთ და ასე ძალით მიღებულ 3,5-ში თვითონ კაკლის ხე დავინახოთ — რის ვაივაგლახით განვითარებული, ტოტებგონჯი, ან, საერთოდ, უჯიშო, ასევე არ შეიძლება მონუსხულივით შევყურებდეთ რაღაც ულოგიკოდ გაჩენილ „5"-ს, „4"-ს, „3"-ს, ან კიდევ უფრო უაზრო „4,3"-ს, „3,1"-ს, როგორც ამა თუ იმ ახალგაზრდის განვითარების, ნიჭიერების აღზრდის და, თუნდაც ცოდნის თვისებრივ მაჩვენებელს...

ერთხელ სკოლიდან აცრემლებული დაბრუნდი, ისტორიის მასწავლებელთან კონფლიქტი მოგხვლია. რის გამო? — ნიშნის გამო, რა თქმა უნდა, მასწავლებელმა სამიანი დაგიწერა, შენ კი თავშეუკავებლად შეუტიე: მე თქვენს შეფასებაში ეჭვი მეპარება, ვისაც რა გინდათ იმას უწერთო. მასწავლებელს ეწყინა და გარეთ გამოგიშვა. შენ ტიროდი, არ წავალ ისტორიის გაკვეთილებზეო, უსამართლოდ წერს ნიშნებსო, ჩამაჯინდაო. „გონიერსა მწვრთნელი უყვარს" შვილო, „უგუნურსა — გულსა ჰგმირდეს"! აბა, კარგად დაფიქრებულიყავი მაშინ, რას ითხოვდა მასწავლებელი შენგან! მოდიოდა კლასში გულმოდგინედ მომზადებული გაკვეთილებით, ფიქრობდა ახალი მეთოდების გამოყენებაზეც. თქვენ კი, მეცხრეკლასელი გოგობიჭები, პირველსავე წუთებში უქრობდით ხალისს დამწყებ პედაგოგს: „მასწ. ვანილი რა ღირს?", „მასწ. თქვენ კალათბურთს თამაშობდით?" არ აცლიდით გაკვეთილის კარგად ახსნას, თითქოს დანაშაულის ჩადენაში უშლიდით ხელს. შემდეგ კი ზეიმობდით, გიხაროდათ, რომ გაკვეთილი ჩაშალეთ, მასწავლებელი მოთმინებიდან გამოიყვანეთ. და სულაც არ გადარდებდათ, მის მიერ კლასში შემოტანილი ცოდნა თავში რომ არ შეუშვით. რა ექნა ახალგაზრდა მასწავლებელს, რომელსაც, მიუხედავად ასეთი შეხვედრისა, მაინც არ ეთმობოდით, მაინც უყვარდით? — გეცლიათ მისთვის, დახმარებოდით მას და თქვენ დაინახავდით, რა კარგი, კეთილი, გულისხმიერი მასწავლებელი გყავთ, როგორ უნდა თქვენთან მეგობრობა. აი, გაგიძახა შენც მასწავლებელმა და გკითხა ის, რაც წინა გაკვეთილზე უნდა აეხსნა, მაგრამ არ აცალეთ. მოსწავლეების ბუნება ასეთია: ყველას თქვენი თავი ყოველთვის და ყველაფერში მართალი გგონიათ; ყველა ნიშანი, რომელიც რომელიმე მასწავლებელს თქვენთვის დაუწერია, არ გაკმაყოფილებთ, უსამართლოა, თუ ხუთიანი გინდოდა და მასწავლებელმა სამიანი დაგიწერა, რა თქმა უნდა, მასწავლებელი ტყუის, ჩაგაჯინდა, არაობიექტურია. ისტორიის საკითხების სიზუსტეში კი არ ედავები მასწავლებელს, ნიშანში ედავები; ფიზიკის ამოცანების ამოხსნისას ლოგიკაზე კი არ დაობ, ნიშანზე დაობ: ქიმიური რეაქციის ფორმულის მართებულობასთან კი არა, ნიშანთან გაქვს საქმე. „გონიერს კი მწვრთნელი უყვარს". „აბა, მასწავლებელო, პატივცემულო, ამიხსენით, გამარკვიეთ, გამაგებინეთ, ამომაცნობინეთ! კიდევ, კიდევ! მე არ დავღლილვარ, თქვენ ხომ არ დაგღალათ ჩემმა ცნობისმოყვარეობამ? რას იზამთ, ვიდრე ყველაფერს არ გავიგებ, არ მოგეშვებით!!! „უგუნურსა გულსა ჰგმირდეს!" „მასწ. გამიშვით რა გაკვეთილიდან' რატომ ვიმალები მერხის ქვეშ? — აქედან უფრო საინტერესოა თქვენი ყურება! არ ვლაპარაკობ, მასწ. მელაპარაკებიან და ვუსმენ! ამან თავში ჩამარტყა, მასწ. გააგდეთ კლასიდან! თავხედს რატომ მიწოდებთ, მასწ. თქვენ შეურაცხყოფას მაყენებთ! გარეთ მიშვებთ?! არა გაქვთ უფლება, მაგრამ თქვენი ხათრით გავისეირნებ დერეფანში! ვერა, ვერ დამტოვებთ, მასწ. განმეორებით კლასში, საყოველთაო სავალდებულო სწავლებაა, აუცილებლად უნდა დამამთავრებინოთ სკოლა!".

აბა, როგორ დაივიწყებ ნანა მასწავლებელს! „დედიკო, იცი, როგორი გაკვეთილი გვქონდა? მასწავლებელს ვეკამათებოდით, არ სჯეროდა, რომ შეცდომა დაუშვა ამოცანის ამოხსნაში, ძლივს დავარწმუნეთ!" ახლა ხომ მაინც მიხვდი, შვილო, რატომ „უჭირდა" ნანა მასწავლებელს ამოცანების ამოხსნა, კითხვა, მოთხრობის დაწერა! იმიტომ, რომ თქვენ — მეორე, შემდეგ კი მესამეკლასელები — „დახმარებოდით" მას, გაგესწორებინათ მისთვის, დაგერწმუნებინათ იგი, გეკამათათ მასთან და ამ დახმარებაში, კამათში თავად გარკვეულიყავით და დარწმუნებულიყავით... როგორ არ დაიბუდებს შენს გულში ნათელა მასწავლებელი? „იქნებ მომიძებნო პუშკინის ერთტომეული!" მოუძებნე. „ამოირჩიე რომელი ლექსიც გინდა და ზეპირად ისწავლე!" არჩევ და სწავლობ ლექსს. „იქნებ პუშკინის ლექსების კითხვა მოგვეწყო გაკვეთილზე?" მხატვრული კითხვის გაკვეთილიც ჩატარდა. „იქნებ დაწერო შენი აზრი პუშკინის შემოქმედებაზე?" ამ „იქნებობაში" ცხრა კილომეტრით გაუსწარი პროგრამასა და სახელმძღვანელოს, ხოლო პუშკინი შენი საყვარელი მწერალი გახდა. ნათელა მასწავლებელი კი, ვითომც არაფერი, ისევ „იქნებ, იქნებო" გეუბნებოდა და წინ-წინ მიგარბენინებდა... კარგად იცოდა ნარგიზა მასწავლებელმა, რომ შენგან მათემატიკოსი არასოდეს გამოვიდოდა, მაგრამ ხომ უნდა ჩაენერგა შენთვის რწმენა, რომ შეგიძლია მათემატიკის სწავლა. ისე მათემატიკის გაკვეთილები შენთვის წამებად იქცეოდა. ამიტომ დაარიგა მან ინსტრუქციები და რამდენჯერმე გაგვაფრთხილა — კარგად მოემზადოს, მინდა გავიძახოო. ამ საიდუმლოს შენ, რა თქმა უნდა, არ გიმჟღავნებდით, მაგრამ დავალებათა მომზადებას კი გიმოწმებდით. მერე საოცარი რამ მოხდა — თურმე შეგძლებია მათემატიკა, თურმე ნარგიზა მასწავლებელი არაჩვეულებრივად კეთილი ადამიანი ყოფილა. „დაიძინე, შვილო, უკვე გვიანია!" „არა, მათემატიკა უნდა ვისწავლო, უხერხულია ნარგიზა მასწავლებელთან!" აი სადამდე მივიდა საქმე. კაპიტონ მასწავლებელმა კი თვალები დაგიბრიალა: „შენ რა, ქალიშვილო, არ სცნობ ქიმიის მეცნიერებას? მე მასწავლებელი არ ვიყო, თუ არ გაგაგებინო, რას გასწავლი!" და გაგაგებინა კიდეც, რომ ქიმიის გარეშე დღევანდელი ყოფა არ არსებობს.

(დასასრული იხ. შემდეგ ნომერში).

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფერადი მინა

მხატვრის სახლში გახსნილი ახალგაზრდების გამოფენა „ფერადი მინა“ მნიშვნელოვან მოვლენად იქცა ჩვენს შემოქმედებით ცხოვრებაში. მასში მონაწილეობას იღებდა რვა მხატვარი: ჯუდუ ფერაძე, ეკატერინე ჩიღუნაძე, ცისანა მჭედლიძე, გულიკო ჭუმბაძე, თამარ გრიგოლია, ნანა ხეჩუაშვილი, მზია მელიქსეთ-ბეგი და თენგიზ კიტოვანი. მათ 70-იან წლებში დაამთავრეს თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის კერამიკა-მინის განყოფილება მინის სპეციალობით. ისინი თითქმის ერთი თაობის წარმომადგენლები არიან, და უნდა ითქვას, რომ მიუხედავად თითოეულის მხატვრული ინდივიდუალობისა, მათ შემოქმედებაში იგრძნობა გარკვეული მთლიანობა, ერთიანი მხატვრული მისწრაფება, ერთიანი მხატვრული აზროვნება.

1963 წელს გახსნილმა მინის განყოფილებამ თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში მინა მხატვრული შემოქმედების ერთ-ერთ დარგად აქცია. და აი, გამოფენამ, რომელიც პირველია ხელოვნების ამ სახეობაში, დაგვანახა, რომ იგი სწორედ ამ თაობის მხატვართა წყალობაა. გასცდა სერიულ, მასიურ წარმოებას და დეკორატიული შემოქმედების ერთ-ერთ აქტიურ დარგად იქცა. გამოფენაზე წარმოდგენილი თითოეული მხატვრის ნამუშევარი მოწმობს, რომ ესთეტიკური საწყისი იღებს პირველად მნიშვნელობას. მხატვრები ქმნიან ფორმებს, რომლებიც სცილდება უტილიტარიზმის ვიწრო ჩარჩოებს, ჩვეულებრივი ყოფითი ფორმები დეკორატიულობისა და მონუმენტალობისაკენ ისწრაფვიან. იზრდება ემოციური დატვირთვა, პლასტიკურ ფორმაში გადმოიცემა მხატვრის განცდა, სულიერი საწყისი. სწორედ ამ თაობის, და ამ გამოფენის მონაწილე მხატვართა საშუალებით მინამ გადალახა ვიწრო, ყოფითი ფუნქცია, გააფართოვა თავისი მხატვრული შესაძლებლობები, აზრი, შინაარსობრიობა შესძინა დეკორატიულ ფორმას.



ეკატერინე ჩიღუნაძე



ცისანა მჭედლიძე



თამარ გრიგოლია



ნანა ხეჩუაშვილი



გულიკო ჭუმბაძე



მზია მელიქსეთ-ბეგი

გამოფენაში მონაწილე ყველა მხატვრისათვის დამახასიათებელია ერთი მომენტი — ისინი აქტიურად მიმართავენ ე. წ. „ასოციაციის მეთოდს“. თვალი რომ გადავავლოთ სათაურებს — ჩვენ შევხვდებით შემდეგ დასახელებებს — „ყაყაჩოები“, „მეტამორფოზა“, „სინაზე“, „ნოქტურნი“, „შემოდგომა“, „ყინულდნობა“, „ხუროთმოძღვრება“, „ღრუბლები“ და სხვ. ეს ასოციაციურობა კვლავ პლასტიკისა და ფერის ერთიანობით იქმნება. ძირითადად, მასალად ყველა მხატვარი იყენებს სულფიდურ მინას, რომლის შეფერვა ნებისმიერად შეიძლება. შეიძლება მიღწეულ იყოს ფერის სხვადასხვა გამჭვირვალობა, ტონალობა, სიძლიერე, რაც ფართო შემოქმედებით გზას უხსნის მხატვარს. მართლაც, გამოფენის თვალის გადავლებითაც კი შეიმჩნევა ფერადოვანი სიმდიდრე, და ამასთან ტენდენცია, რომელიც ფორმაქმნადობას ეხება და მარტივიდან რთულისკენ ისწრაფვის. მხატვრები ქმნიან ძირითადად ჭურჭელს — ლარნაკებს, თეფშებს, თასებს, სერვიზებს. მდიდარი მხატვრული ფანტაზია, რომელიც მათ გამოამჟღავნეს პლასტიკაში, ჭურჭლით იფარგლება. როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, თავისი ფორმით, კოლორიტით, მასშტაბით იგი გასცდა უტილიტარიზმის ჩარჩოს და დეკორატიულობა, მონუმენტალობა შეიძინა, თუმცა დღეისათვის, ჯერჯერობით მხოლოდ დეკორატიულ ჭურჭლად დარჩა.

გამოფენამ გვიჩვენა, რომ შემდგომი შემოქმედებითი გზა კვლავ ძიებისაა, და ის საინტერესო ნაყოფი, რომელიც თითოეული ახალგაზრდა მხატვრის შემოქმედებამ გამოიღო, კვლავაც განვითარდება. გამოფენა საწინდარია იმისა, რომ ჩვენ მომავალში მოწმენი გავხდებით კიდევ ბევრი საყურადღებო ქმნილებისა დეკორატიული ხელოვნების ამ საინტერესო დარგში.

ნანა ყიფიანი

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ჭუდუ ფერაძე
„დეკორატიული კაქტუსები“



ეკატერინე ჩილუნაძე
„ოჯახი“



თენგიზ კიტოვანი
„მზესუმზირები“



გულიკო ჭუმბაძე
„ყაყაჩოები“



ცასანა მჭედლიძე
„ცისფერი აპრილი“



თამარ გრიგოლია
„მთათუშეთი“



მზია მელიქსეთ-ბეგი
„საყვავილე ვაზები“



ნანა ხეჩუაშვილი
დეკორატიული ქანდაკებები —
„კოსმოსი, „ტორსი“

ეროვნული ბიბლიოთეკა



მ. მელიქსეთ-ბეგი
„ლუდის სერვიზი“



ე. ჩილუნაძე
„ფერისცვალება“



თ. გრიგოლია
„დეკორატიული ლარნაკი თეფშით“



თ. კიტოვანი
„დეკორატიული ლარნაკები“



გ. ჭუმბაძე
„ხილის თეფშები“



ჯ. ფერაძე
„თეთრი აპრილი“



ც. მჭედლიძე
„ზაფხული“



ნ. ხეჩუაშვილი
„სოკოები“

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ღირსეული დაფასება



საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტიდან 25 ახალგაზრდა სპეციალისტი გააგზავნეს რუსთავის ქიმიურ ქარხანაში. მათ შორის იყო ელისო ჩიქოვანი, რომელიც დღეს ამ ქარხნის ნედლი ლაქტამის საამქროს ამონიუმის ნიტრიტის განყოფილების უფროსია.

მოსვლისთანავე ელისომ მესამე საამქროს ცვლის ოსტატად დაიწყო მუშაობა.

რამდენიმე წლის შემდეგ მეხუთე საამქროს ჩაუდგა სათავეში.

როცა კარგად გამოსცადეს და ორივე უბანზე მისი შრომით კმაყოფილნი დარჩნენ, ელისო ჩიქოვანს ამონიუმის ნიტრიტის განყოფილების ხელმძღვანელობა მიანდეს. მუშებს სჯერათ მისი და მარტო იმიტომ კი არა, რომ გამოცდილი სპეციალისტია, არამედ იმიტომაც, რომ გული შესტკივა ქარხნისათვის, ახარებს მისი მიღწევა და ვერ ურიგდება ჩამორჩენას.

ელისოს კარგად ახსოვს ის წლები, როდესაც ქიმიურ ქარხანაში ყველაფერი საათივით იყო აწყობილი და სახელმწიფო დავალებებს წარმატებით ასრულებდნენ. არც ის დაავიწყდება, პირველად რომ გაუშვეს ამონიუმის გვარჯილის საამქრო და შემდეგ ამონიუმის ნიტრიტის განყოფილება შექმნეს. დღეს კი სასიხარულო ცოტა აქვს, რადგან საწარმო სახელმწიფო გეგმებს ვერ ასრულებს. ელისოს არ მოსწონს ზოგიერთი ახალგაზრდა მუშის შრომისადმი დამოკიდებულება, აფიქრებს მათი მომავალი. როცა თვითონ პირველად დაიწყო მუშაობა, უხაროდა თითოეული ჭანჭიკის დამოუკიდებლად მოშვება-მოჭერა. ახლა კი ხშირად ესმის: „ეს ჩემი საქმე არ არის, მე არ მევალება, არ გავაკეთებო“. მისი აზრით საამქროში მომუშავე თითოეული თანამშრომელი ყველაფერს უნდა აკეთებდეს, რაზეც ხელი მიუწვდება, უნდა ეუფლებოდეს მონათესავე პროფესიებს. ამ შეგნებით შრომობდნენ ელისოს გვერდით ახალგაზრდები, ასეთი სულისკვეთებისანი არიან ისინი დღესაც.

ელისოს განყოფილება ძალზე ძნელი უბანია ქარხანაში, ყოველ დღეს ახალი საფიქრალი და პრობლემები მოაქვს, და მათ დაუყოვნებლივ სჭირდება გადაჭრა. ელისო ჩიქოვანის 26 წლის ღვაწლი ღირსეულად დაფასდა, რესპუბლიკის ქიმიური და ნავთობქიმიური მრეწველობის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის მას საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის საპატიო წოდება მიენიჭა. შრომას ამაოდ არ ჩაუვლია.

თინა ჯონქაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა



შალვა და ქეთევან ნუცუბიძეები

# როცა ოცნება ახდება

„პირველად შალვა ნუცუბიძე ჯერ კიდევ მოწაფეობისას ვნახე, რუსთაველის თეატრში, „ინ ტირანოსის" გარჩევაზე. ქანდარაზე ტევა არ იყო. თითქმის ვერც ვხედავდი, მაგრამ მისი ხმა, მისი სიტყვა შთამბეჭდავი იყო." ეს ქეთევან კლიმიაშვილ-ნუცუბიძის მოგონებებია, რომელსაც ვკითხულობთ მის მიერ 1982 წლის გამოცემულ მეტად საინტერესო წიგნში: „შალვა ნუცუბიძე".

ამ წიგნს მკითხველი ხელში აღებისთანავე ბოლომდე დიდი ინტერესით ჩაიკითხავს და ვერ შეელევა შესვენებისათვის. ეს გახდა მიზეზი სურვილისა — თვალი გადაგვევლო ქალბატონ ქეთევანის აწ ცალუღელა ცხოვრებისათვის.

როდესაც პირველად ქეთევანმა ბატონ შალვას მოკრძალებული თავაზით გადასცა საკუთარი ხელნაწერი მოთხრობები, ასე სთხოვა: თქვენი აზრი ჩემთვის გადამწყვეტი იქნებაო. პასუხმაც არ დაიგვიანა: „შემოქმედებაში დაფასებულია არა მარტო ძიება აზრის გამოთქმის საუკეთესო საშუალებისა, არამედ მთავარია საკუთარი პიროვნების სრულქმნილებისაკენ სწრაფვა და აი ეს ძალიან მკაფიოდ იგრძნობა თქვენს ნოველაში. დამაჯერებელია შეთხზულისა და სინამდვილის მიმართება. შემიძლია მოგილოცოთ გამარჯვება". ამ შეფასებამ ქეთევანს ძილიც კი გაუკრთო: საკუთარი თავი თითქოს პირველად დაინახა, თითქოს ახლა გაიგო, რომ იგი ის არ იყო, ვისაც მთელი სიცოცხლის მანძილზე გულხელდაკრეფილს უნდა ეცადა ბედისათვის. მას უნდა დაერწმუნებინა თავი, რომ მიზანი უფრო დიდი ჰქონდა, რომ ცხოვრებას სილამაზესა და შინაარსს მხოლოდ სულთა ნათესაობა ანიჭებს.

მართალია, ქეთევანს პირველი ქორწინებიდან ორი შვილი ჰყავდა, მაგრამ მაინც არ დაფიქრებულა, ისე დაუკავშირა თავისი ბედი შალვა ნუცუბიძეს, გახდა მეუღლე დიდი მოქალაქისა, ფილოსოფოსისა, პოეტისა და უნივერსიტეტის პროფესორისა.

ბატონ შალვასაგან სიყვარული ღვთაებრივ ჯილდოს ნიშნავდა. ამ ჯილდოს ფასი კარგად იცოდა ქეთევანმა, სწამდა, რომ მხოლოდ საკუთარი ბედნიერებისათვის არ იყო გაჩენილი, რომ იგი მეორე ადამიანის სიკეთისათვის უნდა სულდგმულობდეს, რომ მისი ღირსება საზოგადოებისათვის სამსახურით უნდა შეფასდეს.

როცა ბატონ შალვას შეხვდა, ქეთევანს უკვე უმაღლესი განათლების ოთხი დიპლომი ჰქონდა: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ასპირანტურის სრული კურსით (ბიოლოგიის ფაკულტეტი), სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი (მეაბრეშუმეობის ფაკულტეტი), პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი (გერმანული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტი)და კონსერვატორიასთან არსებული მუსიკალური ტექნიკუმი. მეუღლემ კატეგორიულად გამოუცხადა ყველაფერზე უარი ეთქვა და დაწყებული დისერტაცია დაეცვა. 1952 წელს ქეთევანი იცავს საკანდიდატო დისერტაციას თემაზე: „კვების პირობების გავლენა მუხის აბრეშუმის ეკოლოგიურ-ფიზიოლოგიურ და სამეურნეო სასარგებლო ნიშანთვისებებზე" და მაშინვე სადოქტორო დისერტაციაზე მუშაობას შეუდგა. ამას მოჰყვა კონფერენციები, პლენუმები ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებში, რამაც მეტად გაიტაცა. ოჯახი კი დიასახლისის ხელს ითხოვდა. უკვე ხუთი შვილის დედისათვის სამეცნიერო შრომის გაგრძელება შეუძლებელი გახდა. ამასთან, საოჯახო საქმიანობასთან ერთად, ბატონ შალვას შრომა ტექნიკურ დახმარებას საჭიროებდა: აუარება მასალა გროვდებოდა დასაბეჭდავად. მბეჭდავი-მემანქანე კი საძებნი იყო. ამიტომ ქეთევანი თვითონ შეუდგა ბეჭდვას. სამი სხვადასხვა ენაზე საბეჭდი მანქანა შეიძინა და ხალისიანად დაიწყო მუშაობა. ბეჭდვამ გაიტაცა, რადგან ამასთან ერთად ფილოსოფიასაც ეუფლებოდა...

დილით მანქანის საჭეს უზის: გლდანიდან მეუღლე უნივერსიტეტში უნდა წაიყვანოს, ბავშვები კი — სკოლაში. დღისით კერავს, საღამოს კი ბეჭდავს. ქალი თითქოს მექანიზმად იქცა. ყველაფერს ასწრებდა, არცერთ საღამოს არ დაჰკლებია, სადაც ბ-ნი შალვა მოხსენებით გამოდიოდა, ამ მხრივაც იგი მისი შემოქმედი მეგობარი იყო. შრომისა და ერთგულებისათვის დაბადებული ქალი ბაღისა და მიწის სიყვარულმა ერთხანს, სამამულო ომის დროს, კოლმეურნეობის წევრიც კი გახადა. ნუცუბიძეების კერა და ბაღი კი თითქმის სრულიად ქეთევანის ხელით არის მოვლილი და აყვავებული. ეს ბაღი ხომ ყოველთვის იყო ქართველი ინტელიგენციის შესაკრები წმინდა ადგილი. იქ მოდიოდნენ ივანე ბერიტაშვილი, კონსტანტინე გამსახურდია, იოსებ გრიშაშვილი, კალისტრატე ცინცაძე, გიორგი ახვლედიანი, ავლიპ ზურაბაშვილი, ვიქტორ კუპრაძე, ნიკო მუსხელიშვილი და სხვანი. სიამაყით იგონებს ქეთევანი თავისი მოწაფეობის პერიოდსაც, როცა ჰარმონიაში გამოცდას ზაქარია ფალიაშვილს აბარებდა, ტანვარჯიშს გიორგი ნიკოლაძე ასწავლიდა, გალობას მარო ხნიშვილი და კლასის დამრიგებლად იაკობ ზედგენიძე ჰყავდა.

ბევრი სიხარული განუცდია ქეთევანს თავის ღრმად შინაარსიან ცხოვრებაში, მაგრამ სიმწარეც არ დაჰკლებია. სიხარულს ყველას უზიარებდა, სიმწარეს კი—არავის: სიმწარეს ადამიანმა თვითონ უნდა გაართვას თავი. ბატონ შალვას შემდეგაც ეს ნამდვილი უდლის გამწევი ქალი საქმეს არ ამჩნევდა თავის მწუხარებას, კარგა ხნის ჩაფიქრებული „პეტრე იბერის" ცხოვრების რომანი დაწერა და 1975 წელს გამოსცა კიდეც. ამ წიგნის იდეის განხორციელების საფუძველი ისიც არის, რომ იბერის მსოფლმხედველობა საფუძვლად დაედო შ. ნუცუბიძის ფილოსოფიას და აკადემიკოსმა ჟირმუნსკიმაც ხომ უთხრა მას ერთ-ერთი კამათის დროს: „შენ თვითონ ხარ პეტრე იბერიო".

ქეთევანი დღეს იოანე მოსხის (VII საუკუნე) ცხოვრების რომანზე მუშაობს, მოსხის სახელთან არის დაკავშირებული ნოველების კრებული „ლიმონარი" და რომანი „სიბრძნე ბალავარისა", შემდგომისათვის კი იოანე პეტრიწის მონუმენტურ სახეზე მუშაობასაც ფიქრობს.

დასაფასებელია ის ამაგიც, შალვა ნუცუბიძის არქივს რომ დასდო ქალბატონმა ქეთევანმა. ამით ხომ იგი მომავალ თაობებს უნახავს დიდი მეცნიერის მემკვიდრეობას. ამ დანატოვარში თავმოყრილია შალვა ნუცუბიძის მეცნიერული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ამსახველი მასალები, აქვეა პირადი მიმოწერაც. განზრახულია რუსულსა და გერმანულ ენებზე გამოქვეყნდეს შალვა ნუცუბიძის ნაშრომები: „დიალექტიკური მატერიალიზმი" და „საშუალო საუკუნეების ისტორია". ამასაც ხომ თავდადებული მეუღლის ხელი სჭირდება!

ქეთევანს შვილებითაც შეუძლია იამაყოს: რუსუდან მეგრელიშვილი ფრანგული ენის სპეციალისტია, დოცენტი; ზაქარია მეგრელიშვილი — ინგლისური ენისა და ლიტერატურის სპეციალისტი, მეცნიერების კანდიდატი. თამარ ნუცუბიძე ინგლისური ლიტერატურის მცოდნეა, ხოლო თამაზ ნუცუბიძე საზოგადოებრივ მუშაობას ეწევა სახალხო კონტროლის დარგში.

ქეთევანი დღესაც ფარხმალდაუყრელ მეომარს გვაგონებს: როგორც მოქალაქე პირუთვნელი და პირდაპირია, გულწრფელი და ამაღლებული. ასეთი იყო, ასეთად დარჩა!

დამანა მდივნიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ერთი ბოთლი რძე

## ბიბლიოთეკარის მოგონება



თამარ ღვალაძე

საქართველოს სსრ დამსახურებულ ბიბლიოთეკარს თამარ ნესტორის ასულ ღვალაძეს 80 წელი შეუსრულდა. იგი იმ ინტელიგენტთა რიცხვს მიეკუთვნება, რომლებიც უჩინრად ასრულებენ თავიანთ მისიას, უანგაროდ ემსახურებიან ეროვნული კულტურისა და ხელოვნების განმტკიცების დიად საქმეს, უხარიათ ერის სიხარული, სწუხან ერის საწუხარით.

მან, ადრე დაქვრივებულმა, ოთხი შვილი აღუზარდა სამშობლოს. ოთხივემ წარჩინებით დაამთავრა საშუალო სკოლა, უმაღლესი სასწავლებელი. ოთხივენი კეთილსინდისიერად ემსახურება მეცნიერების სხვადასხვა დარგს.

ქალბატონი თამარი სამი ბიბლიოგრაფიული წიგნის ავტორია. მალე გამოიცემა მისი „ქართულ მუსიკალურ ნაწარმოებთა ბიბლიოგრაფია (1871 — 1971 წ.წ.)".

ქალბატონმა თამარმა ცხოვრების რთული და საინტერესო გზა განვლო. ამ ხნის მანძილზე ის ჩვენი კულტურის ბევრ გამოჩენილ მოღვაწეს შეხვედრია.

ქვემოთ მოთხრობილია მისი შეხვედრა აკადემიკოს შალვა ნუცუბიძესთან.

ეს ოციანი წლების ამბავია.

სამგზავრო მატარებელი, რომელიც ისეც ორი საათის დაგვიანებით მიემართებოდა თბილისისაკენ, კასპის სიახლოვეს, რომელიღაცა ბაქანთან შედგა. ვაგონებში ხალხის ტევა არ იყო: სტუდენტებს, მუშებს, საბაზროდ წამოსულ გლეხებს, ვის, რა პროფესიის ხალხს არ შეხვდებოდით აქ. ხალხის სიმრავლისაგან ჩემს ვაგონში ბნელოდა. მე, ძუძუთა ბავშვით ხელში, სკამის კიდეზე ვიჯექი მატარებლის დაძვრის მოლოდინით გულგაღეული. ჰაერი დამძიმებულიყო. ვიღაცამ ამბავი მოიტანა, გზაა გაფუჭებული, საღამომდე აქ ვიდგებითო. თითქოს ამ ამბავს ელოდაო, ჩემმა პატარამ ჯერ ჭირვეულობა, მერე კი ტირილი დაიწყო. — რატომ ტირის ბავშვი? დედა არა ჰყავს? დააწყნარეთ ჩქარა, ჩვენ კიდევ ტირილი გვინდა? — ისმოდა ხმები აქეთ-იქიდან. რაც შემეძლო ვეალერსებოდი, ვუყვავებდი, მაგრამ მშიერი ბავშვის გაჩუმება შეუძლებელი აღმოჩნდა. რძე გამიქრა, რადგან წინა საღამოს მერე ლუკმა არ ჩამედო პირში. არც რაიმე საკვები მომეძევებოდა აბგაში. ბავშვი კი ტიროდა და ტიროდა.

— დედას რძე არ ჰქონია! ბავშვს საჭმელი არ აქვს? — გადადიოდა კაციდან კაცში.

— რაო, ბავშვს რძე უნდა? — იკითხა რომელიღაცამ, ამდენა ხალხმა რძე ვერ უნდა ვიშოვოთ? — ხმას აუწია უცნობმა. უცებ ამ კაცში პროფესორი ნუცუბიძე შევიცანი, ჩემი უნივერსიტეტელი პედაგოგი. შემრცხვა, არ დამინახოს მეთქი, ბავშვი უფრო ჩავიხუტე და თავი ჩავქინდრე. პროფესორმა თვალი მოავლო მგზავრებს და ომახიანად იკითხა, — აბა, ვინ ხართ ყოჩაღები, რძის საშოვნელად ვინ გამომყვება? — მსურველი ბევრი აღმოჩნდა. ბატონმა შალვამ ორი ყმაწვილი გაიყოლა და მახლობელი სოფლისკენ აიღო გეზი.

დიდი-დიდი ორი საათი იქნებოდა გასული, პროფესორი და ყმაწვილები რომ დაბრუნდნენ. ნუცუბიძეს ერთ ხელში შოთი პური, მეორეში რძით სავსე ბოთლი ეჭირა და ისე მოუძღოდა თავის ამალას. იგი მომიახლოვდა და დამაკვირდა, წამოიძახა: — თამარქალო, მაშ, შენა ხარ ამ ბავშვის დედა! გამომართვი, გამომართვი, გენაცვალე, ნუ გრცხვენია, კეთილმა ფურმა გამოგიგზავნა! — და, მალე ვაგონიდან სუფთა ჰაერზე ჩავიდა.

ცნობილია, რომ შალვა ნუცუბიძემ თბილისში გახსნა „მოზრდილთა კურსები" საშუალო განათლების ატესტატის მისაღებად.

ბატონი შალვა ადრე „მოზრდილთა კურსებზე", იმჟამად კი უნივერსიტეტში მასწავლიდა. გაოცებული ვიყავი პროფესორის მეხსიერებით. ყველა სტუდენტის სახელი და გვარი იცოდა და თქვენ წარმოიდგინეთ, რომ შეჰკითხოდით, მათ სადაურობასაც უცდომლად გეტყოდათ.

ყმაწვილები კი ერთმანეთს არ აცლიდნენ: — მივდივართ, ჩემო ბატონო, მივდივართ და რას ვხედავთ, ტრიალ მინდორში პალოზე დაბმული მთვარისფერი ძროხა ბალახობს. პროფესორს ვეუბნებით: — ბატონო შალვა, ჩვენ სოფლელები ვართ, მოწველა გვემარჯვება, აქვე ავავსოთ ბოთლი და დავბრუნდეთ. — მაგრამ რად გინდა, ახლოს არ მიგვიშვა საქონელმა. — აი, ხომ ხედავთ, — წამოიძახა ნუცუბიძემ, — ძალით არავინ არაფერს მოგცემთ. — მერე პალოს თოკი ახსნა, რაღაცა შესძახა და სოფლისაკენ დაეშვა. პირუტყვმა, თითქოს გაიგოო, თავი დააკანტურა და ჩაქჩაქით მიჰყვა თავდაღმართზე გაჩქარებულ პროფესორს. კითხვა-კითხვით მივაგენით ფურის პატრონს. პროფესორმა მას თოკის ბოლო გადასცა და უთხრა: — ა, ბატონო, ავხსენით და საძოვრიდან მოგგვარეთ თქვენი საქონელი. გვინდა ერთი ბოთლი რძე. რასაც მოგვთხოვ, ორჯერ მეტს გადაგიხდით. — ცოტათი გაოცებულმა გლეხმა შინ შეგვიწვია, ცოლს რძე აადუღებინა და ბოთლში ჩაგვისხა, მერე პირველწნახადით სირჩები აგვივსო და სამჯერ დაგვალევინა, წამოსვლისას თონიდან ახალამოყრილი ცხელი პურიც მოგვაჩეჩა ხელში და გზა მშვიდობისა გვისურვა. თქვენ აგაშენათ ღმერთმა, ამ ძროხის ასახსნელად უნდა წამოვსულიყავ, მეზარებოდა და რა კარგი საქმე გამიკეთეთო! მაშ, ზუსტად ასე გვითხრა. გამოვეთხოვეთ კეთილ მასპინძელს. ხოლო ბატონი შალვა, შუაში ჩამდგარი, გვეძრახებოდა აქეთკენ მომავლებს: — ხომ ხედავთ, რა პატივი გვცა ამ კაცმა, ჩვენ კი კინაღამ ერთი ლიტრი რძის ქურდები გავხდით. რომ გვითხრა, მადლობელი ვარ, ძროხა რომ შინ მომგვარეთო, ეს მისი დიდი გულის ამბავია. ვის გაუგონია შუადღით საქონლის მოდენა? ასეა, ჩემო ძამიებო, ისევ წესიერად მოგვარებული საქმე სჯობნებია უკეთურობას.

შალვა ნუცუბიძის რაინდული საქციელი და სტუდენტების ნათხრობი დღემდე ჩამრჩა გონებაში.

ჩაიწერა გრიგოლ რუხაიამ



უნგრეთის სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში შანდორ რაინაი ესაუბრება ელენე საყვარელიძეს

# საპატიო ჯილდო

რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ელენე საყვარელიძე მარტო მსახიობი როდია. ზოგმა შეიძლება არც იცის, რომ საზოგადო მოღვაწეც არის.

ის მუდამ ხალხში ტრიალებს, ხალისიანია, ღიმილიანი, საქმიანი და დაუზარელი. მას ყველგან შეხვდებით: საბჭოთა კავშირ-უნგრეთის მეგობრობის საზოგადოების საქართველოს განყოფილების თავმჯდომარის მოადგილეა, საზოგადოება „ცოდნის" კალინინის რაიონული განყოფილების პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე, რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში პარტბიუროს წევრი და კედლის გაზეთის რედაქტორია, საქართველოს საესტრადო და საცირკო ხელოვნების სასწავლებელში მსახიობის ოსტატობას ასწავლის... კიდევ? მას ნახავთ საკავშირო კონფერენციებზე გამოსულს, უცხოელთა მიღება-გასტუმრებისას მოფუსფუსეს. სად არ იხილავთ, სად არ შეხვდებით: გამოფენების გახსნაზე თუ — აქტივის კრებაზე, კინოფილმების გასინჯვაზე თუ თეატრალური საზოგადოების პლენუმებზე, რედაქციებში, სადაც ხალისიანი იუმორისტული ნოველები, ფელეტონები, ნარკვევები მოაქვს; ყველგან თავის აზრს გამოთქვამს, მსჯელობს სალად და მიუკერძოებლად. გვაოცებს მისი ენერგია, როგორ ასწრებს ყველაფერს, სადღა აქვს ის დრო, რომ პატარა ქალიშვილს მარიანას სიმღერებსა და ლექსებს ასწავლის.

ელენესთან გულღია საუბარში გახსენდება მთელი გალერეა იმ სახეებისა, მას 25 წლის მანძილზე რომ შეუქმნია სცენაზე...

განსაკუთრებით დასაფასებელია ელენეს უნარი: დაინახოს, იწამოს სიკეთე და თვითონაც უანგარო იყოს. ამაოდ არ იხარჯება მისი სითბო, ენერგია, გულისხმიერება. ამით ხომ ყველაზე ძვირფასს — ხალხის სიყვარულსა და პატივისცემას იმკის. როგორ გავიხარეთ, როცა შევიტყეთ, რომ უნგრეთის მეგობრობის საზოგადოების პრეზიდიუმის ბრძანებულებით, რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მსახიობი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ელენე საყვარელიძე დაჯილდოებულია უნგრეთის „ოქროს გვირგვინის" მედლით.

საბჭოთა კავშირ-უნგრეთის მეგობრობის საზოგადოებას 25 წელი შეუსრულდა, ხოლო საქართველოს განყოფილებას კი — მხოლოდ 18 წელი; და, როგორც ელენე ამბობს, ამ 18 წლის განმავლობაში უამრავი ღონისძიება განხორციელდა, რამაც ორი ქვეყნის მეგობრობის განმტკიცებას შეუწყო ხელი.

ელენე რამდენჯერმე მიიწვიეს უნგრეთში. მან კარგი დახმარება გაუწია უნგრელ ქართველოლოგებს. როდესაც ქართული ენის გაკვეთილების ფირფიტები გაუგზავნა, უნგრელმა მეგობრებმა ქართული ენის შესწავლისას ამ ფირფიტებითაც ისარგებლეს...

ჩვენც მივულოცოთ ეს საპატიო ჯილდო ქალბატონ ელენეს!

დოდო ზურაბაშვილი

# ეკატერინე გაბაშვილის საღამო ხონში

მე-20-ე საუკუნის დასაწყისში ხონის პროგრესული ქალთა წრე დიდი ინტერესით ეცნობოდა ქვეყნის ავკარგს, სოციალურ-კულტურულ მოვლენებს. ისინი ხშირად იკრიბებოდნენ საჭირბოროტო საკითხების განსახილველად, ეცნობოდნენ მწერლობას, პრესას, კარგად იცნობდნენ ქვეყნის მოღვაწეებს და მათთან მეგობრობდნენ კიდეც. შეიძლება ითქვას, რომ ხონელ ქალებს განსაკუთრებული ახლო ურთიერთობა ჰქონდათ ეკატერინე გაბაშვილთან. იგი მათი შეუდარებელი ავტორიტეტი და შთამაგონებელი მეგობარი გახლდათ.

1911 წელს ხონის მოწინავე ქალებმა ეკ. გაბაშვილი ხონში მოიწვიეს, რათა პირადად გაცნობოდნენ მწერალს და დაბადების მესამოცე წლისთავი მიელოცათ. ამ თაოსნობას სათავეში ჩაუდგნენ დიდად განათლებული მანდილოსანი ეფრო ნიკოლაძე-ჭიჭინაძისა (ხონის სემინარიის დირექტორის ალექსი ჭიჭინაძის მეუღლე), ეკატერინე ბახტაძე, ანა ქუთათელაძე-ივანოვისა, დარიკო წერეთელი-ქუთათელაძისა და სხვანი.



სურათზე: პირველი რიგი (მარჯვნიდან მარცხნივ): დ. ბერძენიშვილი, ა. ქუთათელაძე-ივანოვა, ნ. კანდელაკი-მებუკე; მეორე რიგი: ე. ნიკოლაძე-ჭიჭინაძე, ეკატერინე გაბაშვილი, დ. წერეთელი-ქუთათელაძე; დგანან: ს. ბერიკაშვილი-სანიკიძე, ე. წულუკიძე-ნიჟარაძე, ე. ვარუევა-ბახტაძე, (სახელი და გვარი უცნობია), ს. ბარქაია-ნიჟარაძე, ა. შიუკაშვილი-მამალაძე.

ეკატერინე გაბაშვილი სიამოვნებით ესტუმრა ხონელ მანდილოსნებს, მათაც ჩინებული შეხვედრა მოუწყეს მწერალს. ქალთა წარმომადგენლები ქუთაისშივე შეეგებნენ საპატიო სტუმარს. შემდეგ ხონის სახალხო თეატრში გაუმართეს საიუბილეო საღამო. საღამოს დიდძალი საზოგადოება დაესწრო. ამაღელვებელი სიტყვებით მიმართეს მწერალს მისი შემოქმედების თაყვანისმცემლებმა, მხცოვან იუბილარს საკუთარი ლექსები მიუძღვნეს მოსწავლე ქალებმა. თეატრის მსახიობებმა წაიკითხეს მწერლის მოთხრობების ნაწყვეტები, ვაჟებმა კი თაიგულები მიართვეს საყვარელ მწერალს.

საღამომ დიდებულად ჩაიარა. დამსწრე საზოგადოება ოვაციით მიესალმა იუბილარს, ხოლო საღამოს დასასრულს, დარბაზიდან გამოსვლისას, ზეიმით და მქუხარე ტაშით გააცილეს ძვირფასი სტუმარი.

საღამოს შემდეგ ხონის ცნობილი ქველმოქმედისა და განათლებული პიროვნების ივანე შარაშიძის ბინაში ვახშამი გაიმართა, რომლის სული და გული ქალები იყვნენ. ისინი ფარვანასავით ევლებოდნენ თავს დიდებულ სტუმარს. აქაც მჭევრმეტყველებით ანთებული სიტყვებით შეამკეს მწერლის ღვაწლი.

მეორე დღეს ხონელ ქალთა ჯგუფმა ეკატერინე გაბაშვილთან სამახსოვრო სურათი გადაიღო. მერე კი საყვარელი მწერალი ქუთაისამდე გააცილეს.

ბედნიერმა მწერალმა ეკატერინე გაბაშვილმა, ხონში ერთხელ კიდევ იხილა თავისი თვალით, თუ რა უსაზღვროდ უყვარდა ის ხალხს, იხილა თავისი საზოგადოებრივი ღვაწლის ჭეშმარიტი დაფასება.

გიორგი ბახტაძე



კ. მარქსის ს. ს. საქ. სსრ სახელმწიფო რ. ბ[illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა




# ოჯახი. დედა...

„დიდი ილია ჭავჭავაძე თავის ლექსებში დედას მოუწოდებდა, რომ შვილებში აღეზარდა კაცთმოყვარეობა, სიკეთისათვის თავდადება, პატრიოტიზმი. ეს იყო იმ შავბნელ წარსულში, როცა ქალი უუფლებო იყო. ახლა ქართველ დედას ყოველგვარი პირობა აქვს შექმნილი, რომ შვილები კარგად აღზარდოს.

შვილების აღზრდის საქმეში მთავარი დედაა. ამ საპატიო საქმეს ოჯახში დედა ხელმძღვანელობს. გენიალურ ფრანგ ფილოსოფოსს ჟან ჟაკ რუსოს დედის კალთა, დედის მკერდი უპირველეს და უმნიშვნელოვანეს წიაღად მიაჩნდა ბავშვის ბუნებრივი აღზრდისათვის.

როდის უნდა დავიწყოთ შვილის აღზრდა? — ზოგიერთი დედა ფიქრობს, ჩემი შვილი ჯერ პატარააო და სასკოლო ასაკს ელოდება, თითქოს სწავლა-აღზრდა მხოლოდ სასკოლო ასაკიდან იწყებოდეს. ეს შეცდომაა. პედაგოგიურად მოაზროვნე ფრანგი ხენ პიერი გვირჩევს, ბავშვის გონებას, ბავშვის შთაგონებას სწორედ იმ დროიდან მივმართოთ, როცა მას ძუძუს მოვწყვეტთო. ბავშვის ადამიანად აღზრდას საფუძველი სკოლამდელ ასაკში ეყრება. ამ დროს მას ყველაფერი აინტერესებს, ყველაფერს აღიქვამს, მაგრამ როგორ დავაკმაყოფილებთ მის ცნობისმოყვარეობას, ეს უკვე დედაზეა დამოკიდებული.

ხშირად გამიგონია, ქალს სწავლა რაში სჭირდება, რომ გათხოვდება სამსახურისათვის ველარ იცლის და შინ ჯდებაო. ხალხს ავიწყდება, რომ ახლა სხვა დროა, ახლა ბევრი ქალი კი არა, სახლში შეიძლება ქალების მხოლოდ თხუთმეტი-ოცი პროცენტი დარჩეს, დანარჩენები მუშაობენ. მგრამ, განა ქალს ცოდნა მხოლოდ სამსახურისათვის სჭირდება? ეს მცდარი აზრია. სწორედ შვილების აღმზრდელი დედა უნდა იყოს ფრიად განათლებული, რომ შეგნებულად წარმართოს ოჯახის ცხოვრება.

— მინდა გიამბოთ ერთი ჩვეულებრივი დედის ამბავი. ის სრულიად ახალგაზრდაა, სამი შვილი ჰყავს. გვერდში ერთგული მეუღლე უდგას. იგი ერთ-ერთი მოწინავე ქარხნის მთავარი ინჟინერია. ქარხნის საქმეებში გართულს გულს უმშვიდებს იმის გაფიქრება, რომ შვილებს — დათოს, ირაკლის და ეკატერინეს მზრუნველი დედა ჰყავთ, რომელიც მათ არაფერს დააკლებს.

ერთი ზაფხული გავატარე ამ ოჯახის გვერდით და ძალიან მომეწონა მანანას შეგნებული ყურადღებიანობა შვილებისა და ოჯახის მიმართ. მაშინ ბავშვები სკოლამდელი ასაკისანი იყვნენ.

ზოგიერთ დედას პატარები მთელი დღე ეზოში უყურადღებოდ ჰყავს მიტოვებული. იქ ბავშვები ერთობიან და ოჯახში აღარავის აწუხებენ. მანანა კი სხვანაირად ფიქრობდა. ბავშვებს მთელი დღე მეთვალყურეობას უწევდა. ბუნების წიაღში მიჰყავდა, აგროვებდნენ ფერად-ფერად ყვავილებს, ლამაზ ფოთლებს, გირჩებს, იჭერდნენ პეპლებს, კალიებს და სხვა მწერებს. დედა ცდილობდა, რომ ბავშვებს ბუნების მშვენიერება შეეგრძნოთ, თან სათანადო ახსნა-განმარტებით აკმაყოფილებდა მათს ცნობისმოყვარეობას. დედა ბავშვებს ჰაერზე აძინებდა, იავნანას და ტკბილ ქართულ ჰანგებს უმღეროდა.

მანანა პატარებს წიგნებისათვის, სკოლისათვის ამზადებდა. ირაკლის ისე შეუყვარდა წიგნი, რომ ხშირად ეკავა ხელთ, ფურცლავდა და დაკვირვებით დასცქეროდა, მერე დედას ეხვეწებოდა, წამიკითხეო.

ახლა ირაკლი მოსამზადებელ კლასშია. მასწავლებელი კმაყოფილია პატარა მოწაფით. ბავშვი გაკვეთილზე ყურადღებიანი და აქტიურია. უფროსი — დათო უკვე მესამე კლასშია, კარგად სწავლობს, ძალიან უყვარს კლასგარეშე წიგნების კითხვა. ძმები სპორტსაც ეუფლებიან. ეკატერინე სამი წლისაა. დედასთან ერთად ძმების გვერდით არის და ცნობისმოყვარეობით უთვალთვალებს მათს საქმიანობას.

მანანა ბავშვების მიმართ თბილი და ალერსიანია. მისი ხმა ყოველთვის სასიამოვნოა, თანაც საოცრად ინარჩუნებს მომთხოვნი დედის ტონს. მანანა ფილოლოგია, მაგრამ ამჟამად არ მუშაობს. პატარებს დედის სიახლოვის სიხარულს არ აკლებს“.

ამ წერილს თბილისელი პედაგოგი მავრა ფრუიძე გვწერს. ვეთანხმებით ქალბატონ მავრას. დედა მართლაც ისეთი უნდა იყოს, როგორც მანანაა (ავტორი გვარს არ ასახელებს) — განათლებული, თავდადებული, ყურადღებიანი, ზომიერად მომთხოვნი.

ბევრი დედა ფიქრობს, როცა ბავშვები მცირეწლოვანნი არიან, შინ უნდა დავჯდე, მათ უნდა მოვუარო, დედობრივი სითბო და ალერსი, არ უნდა მოვაკლო, ზღაპრები და მოთხრობები უნდა ვუკითხოო. ოჯახში მთავარია დედის სითბო, დედის ყურადღება, დედის თვალი, რომელსაც შვილის თითოეული ნაბიჯი იშვიათად თუ გამოეპარება.

მაგრამ დღეს დედების უმეტესობა მუშაობს, ამიტომ ჩვენს პატარებს ცხოვრება საბავშვო ბაგა-ბაღებში, გახანგრძლივებულ სკოლებში, სკოლა-ინტერნატებში უხდებათ.

საბავშვო დაწესებულებების უმეტეს ნაწილში საქმე კარგად არის დაყენებული, აქვთ კეთილმოწყობილი შენობები, ჰყავთ კარგი პედაგოგები, მზრუნველი აღმზრდელები. მაგრამ, სამწუხაროდ, გვხვდებიან გულგრილი აღმზრდელები და პედაგოგები, ზოგან პიონერული და კომკავშირული ორგანიზაციები ცუდად მუშაობენ, დღევანდელობას ვერ უპასუხებენ. მშობლებმა უნდა ვიმარჯვოთ: ნაკლს ვებრძოლოთ, მივუთითოთ, გავაფრთხილოთ და, სადაც კი შევნიშნავთ უხამსობას, უწესრიგობას და უპასუხისმგებლობას, — გამოვააშკარაოთ.

დღეს ბავშვების თითქმის 80 პროცენტი საბავშვო ბაგა-ბაღებში იზრდება. იქ აღიზარდნენ ჩვენი დედები და მამები, იქ გავიზარდეთ ჩვენ, იქვე იზრდებიან ჩვენი შვილები. ცნობილია, რომ კოლექტივში აღზრდილი ბავშვი უფრო ჯანმრთელია, გაბედული, განათლებული, აქტიური, ადვილად ეჩვევა ახალ გარემოს და თავისუფლად უჭირავს თავი საზოგადოებაში.

დიდიხანია ჩვენს ქვეყანაში დღის წესრი-

გიდან მოიხსნა ქალის მარტო დედად დარჩენის საკითხი. დღეს ქალი ქვეყნის მეორე ნახევარია — მართავს ოლქს, რაიონს, ქალაქს, ხელმძღვანელობს დიდ საწარმოს, სამეცნიერო დაწესებულებას, სკოლას, კოლმეურნეობას; ის კოსმონავტია, მეცნიერია, ექიმია... ამიტომ ქალს ზოგჯერ კაცზე მეტი ხელფასი შეაქვს ოჯახში და საერთო ბიუჯეტში მისი შემოსავალი სჭარბობს კიდეც მეუღლისას.

დედაშვილობის საკითხი საალმზრდელო მუშაობის მარადიული თემაა. დედის მიერ აღზრდილი შვილი! — აი რას მოითხოვს ოჯახი, სკოლა და საზოგადოება. მან უნდა შთაუნერგოს შვილს ყოველგვარი სიკეთე: სამშობლოს სიყვარული, პატრიოტიზმი, ოჯახისა და მახლობლების მზრუნველობა, ამხანაგებისა და მეგობრების ერთგულება. მან უნდა დააყენოს ცხოვრების ნათელ გზაზე, დაჭედოს ბავშვის გონება ცოდნითა და განათლებით.

ბავშვებს ნამდვილად სჭირდებათ დედის როგორც ფიზიკური, ისე სულიერი სიახლოვე. პატარები თავიანთ წილ ალერსს, სინაზესა და ტკბილმოუბრობას მოითხოვენ. ეს მალამოსავით ედება მოზარდის სათუთ გონებასა და გრძნობას.

ჩვენი პარტია და მთავრობა ყოველთვის ზრუნავდნენ და ზრუნავენ ბავშვთა აღზრდისათვის, ოჯახისათვის. ამ საკითხმა ახლა წინა პლანზე გადმოინაცვლა, ვინაიდან მომავალი თაობის ჯანსაღი, სრულფასოვანი აღზრდა მთავარი პრობლემაა.

ამ ბოლო დროს ზოგიერთ საწარმოში მოხერხდა ქალთა ოთხსაათიან სამუშაო დღეზე გადაყვანა. დღის დანარჩენი დრო ქალი ოჯახშია. ოჯახსა და ბავშვებს უვლის. ამ სიახლემ დიდი გამოხმაურება ჰპოვა ყველგან. ეს ქალებისათვის, დედებისათვის უზარმაზარი სტიმულია. ამიტომ ბევრი საწარმო თუ დაწესებულება ეძებს გზებს, რომ ქალებმა შემცირებული დროით იმუშაონ.

დედის ხელოვნება დიდია. შეიძლება შინ იჯდეს იგი და შვილები სრულფასოვანი მაინც ვერ აღზარდოს. საზოგადოებრივ შრომაში ჩაბმულმა დედამ მანანახავით შეიძლება ვერ აღზარდოს შვილები, რადგან მოსამსახურე ქალს, რაც უნდა მარჯვე იყოს, არ ეყოფა დრო ყველაფრისათვის. მაგრამ მას შველის საალმზრდელო დაწესებულებები, ბაგა-ბაღები. ყველაფერი უნდა გაკეთდეს, რომ მათი მუშაობა ამაღლდეს, რაც დედას დიდად დაეხმარება. არც ის შეიძლება, რომ დღეს ქალი მოწყდეს საზოგადოებრივ ცხოვრებას. ეს საკითხი ნამდვილად დიდი პრობლემაა და ფრთხილად გადასაჭრელი. მის მოსაგვარებლად ბევრი კოლექტივი, საწარმო თუ ორგანიზაცია იბრძვის, რომელთაც მხურვალედ უჭერენ მხარს ჩვენი პარტია და მთავრობა. ზრუნვაა იმისათვის, რომ სადაც შესაძლებელია ოთხსაათიანი გახდეს ქალის სამუშაო დღე, შეღავათები მიეცეს მრავალშვილიან დედებს.

ირმა ჩოფიკაშვილი

შვიატოპელკ კაპრინსკი

## იუმორი



— ალო!

— ლაპარაკობს თქვენი კეთილისმსურველი.

— ვინ?

— კეთილისმსურველი, — ამჟამად თქვენი ცოლი სასტუმრო „პანამაში“ გახლავთ.

— უკაცრავად, მაგრამ რა ნომერი აკრიფეთ?

— 2-49-11, მიოდულინსკების ბინა.

— იქნებ ანტონ მიოდულინსკი?

— დიახ, სწორედ ის მინდოდა.

— თუ ასეა, — ის ჯერ კიდევ უცოლოა.

— დიდ ბოდიშს ვიხდით...

ასეთი ტელეფონის ზარები უიღბლო, იაფფასიანი ანონიმებია, რომლებიც ქარს მიაქვს, უსაფუძვლო და ყოველგვარ სიმართლეს მოკლებული. ვიღაც მოცლილი ტიპი გადაშლის ტელეფონის წიგნს და იწყებს რეკვას. ცოტა ხნის შემდეგ ცოლიანი შეხვდება:

— ალო! ლაპარაკობს თქვენი კეთილისმსურველი...

— ჰმ, ა, ვინ?

— თქვენი კეთილისმსურველი. აი, ახლა თქვენი ცოლი სასტუმრო „პანამაშია“...

— ეე! სისულელეს ლაპარაკობთ. ჩემი ცოლი სწორედ ახლა სამზარეულოში ზის და ქერმის კონფიტიურს აკეთებს. კარი ღიაა და ვუყურებ. ძალიან მიყვარს ქერამი.

ცოტა ხნის შემდეგ (უფრო დამაჯერებელი ტონით) ჩვენი ანონიმი უფრო გულუბრყვილოს შეეჩეხება:

— ლაპარაკობს თქვენი კეთილისმსურველი. ამ წუთში თქვენი ცოლი სასტუმრო „პანამაშია“...

— ვისთან? კუშპიეტოვსკისთან?

— არა.

— პუტილინსკისთან?

— არა, არა, არა...

— აბა, ვისთან არის დღეს ეს იდიოტი ქალი?

—მხრებგაშლილ, ქერა, კრიმინალისტისსახიან კაცთან.

— აჰა! გმადლობთ, ბატონო. მაგრამ არაუშავს, ის მისი საქმროა...

— როგორ? თქვენ ცოლს საქმრო ჰყავს?

— რასაკვირველია...

ანონიმების მოყვარული სასოწარკვეთილია. ყურმილს ჰკიდებს და არაყს გადაჰკრავს. ბარში მექორწილე ხალხში გაერევა. ზიგზაგური ნაბიჯებით მიდის ტელეფონთან და წიგნში ხალხის თვალწინ რაღაც ნომერს ეძებს, შემდეგ რეკავს და ლოთი კაცივით ხრინწიანი ხმით ყურმილში ჩასჩურჩულებს:

— ეს ექიმ ფიტალსკის ბინაა? თქვენი კეთილისმსურველი გელაპარაკებათ. თქვენი ცოლი გღალატობთ, ამ წუთას სასტუმრო „პანამაშია“ თავის საქმრო — კრიმინალისტთან ერთად.

— აჰ, მოსამსახურე ბრძანდებით?! გთხოვთ, ტელეფონთან სთხოვოთ ოჯახის უფროსს. გავიდა? მაშინ, როგორც კი დაბრუნდება, გადაეცით რასაც გეტყვით...

ანონიმების მოყვარულმა ის იყო მოასწრო ყურმილის დადება, რომ უახლოესი მაგიდიდან ვიღაც კაცი წამოდგა და გაცეცხლებულმა სილა გააწნა.

— თქვენ, რამდენიმე წამის წინ ჩემს სახლში დარეკეთ. — კიდევ უთავაზა და გასცილდა.

პოლონურიდან თარგმნა
ინგა კაკაბაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სადა ხარ, მაიკო დეიდა?

ამას წინათ ტროლეიბუსით ვმგზავრობდი. ჩემს წინ ყალმით ნახატი ახალგაზრდა ქალი იჯდა. გიშერივით შავი წამწამები ჰქონდა, ქუთუთოები ცისფრად შეელება, ლოყები წითლად უღვიოდა. კალთაში (თუ კალთა შეიძლება ეწოდოს ჯინსის შარვალს) ოთხიოდე წლის ბიჭუნა ეჯდა.

ტროლეიბუსი გაჩერდა. ქალმა ბავშვი კალთიდან ჩამოსვა. ეტყობოდა, რუსთაველის მოედანზე უნდა ჩასულიყვნენ, მაგრამ ბიჭუნა ფანჯარასთან მივიდა და რაღაცას გაფაციცებით აკვირდებოდა. გზის პირას ხალხი შეგროვილიყო. იქვე ორი მანქანა იდგა. ერთ მათგანს მოძრაობის წესები დაერღვია.

— წამოდი, უნდა ჩავიდეთ! — უთხრა დედამ შვილს.

ბავშვი პაწია ხელებით სკამის საზურგეს ჩაეჭიდა, არ უნდოდა ჩასვლა.

— დაიცა რა, დედიკო, მანქანები ერთმანეთს დაჯახებია, ვუყუროთ! — ეხვეწებოდა შვილი.

— წამოდი, შე დეგენერატო, — გაბრაზდა დედა და ბავშვი ძალით მოაშორა ფანჯარას.

ბიჭუნამ ფეხი აითრია, გაუძალიანდა დედიკოს. ის კი არ ეშვებოდა:

— შე დებილო, მანქანების მეტი ქუჩაში რა არის, წამოდი ჩქარა, ხომ ხედავ, სამსახურში მიგვიანდება.

ამ შემთხვევამ ჩვენი სახელოვანი პოეტის გიორგი ლეონიძის მშვენიერი წიგნი „ნატვრის ხე“ გამახსენა, რომელშიც ბევრი კარგი მოთხრობაა დაბეჭდილი და მათ შორის „დეიდა მაიკო“.

მაიკოს ხმის სიტკბო, ისე როგორც წიგნის ავტორს, მეც საამურად ჩამესმის. აი, როგორი ალერსი იცოდა მან:

— „ჩემი სიცოცხლის ცისკარო!

— თავს შემოგევლე!

— ჩემო გაშლილი იაო!

— შენი გულის ჭირიმე!

— საყვარელო, სასახელო!

— წამლად დაგენაყე, წამლად დაგედე!

— ჩემო სიყრმის მზევ, შენ კი გენაცვალე!

— ჩემო სულო და სიცოცხლევ! ჩემო სულისდგმავ!

— ჩემო ცხოვრების ნიავო!

— დედის ოქროს შანდალო!

— ჩემო დამტირებელო, მშვენიერო თვალებო!..

და ვინ მოთვლის, ან სადღა მახსოვს, — გულისტკივილით წერს პოეტი, — რა იქმნენ, სად წავიდნენ ეს ალერსიანი სიტყვები, ძველად ათასმა მაიკომ რომ იცოდა საქართველოში?

რატომ აღარ ვალერსობთ დღეს ამ სიტყვებით, რატომ ჩვენც აღარავინ გვეუბნება, რად გავიძარცვეთ, ხომ გვცივა უამსიტყვებოდ!

რატომ აღარ ესმით ეს ტკბილქართული ჩვენს ბავშვებს, შვილებსა და შვილიშვილებს?

რატომ დაკარგეს ჩვენმა ქალებმა ქართული საალერსო სიტყვები? ნუთუ დაყრუვდნენ, მოკვდნენ, გადაშენდნენ ეს სიტყვები? ნუთუ ისე გახევდა ჩვენი გული, რომ ეს ტბილი, მდიდრული სიტყვები აღარ არიან ჩვენთვის საჭირო, რად დაივიწყეს ისინი დღევანდელმა ქართველმა დედებმა:—მე სწორედ მათ საგულისხმოდ ვწერ ამას!“

მართლაც რატომ?

— **დებილო**, დეგენერატო, იდიოტო, კრეტინო! — ეს სიტყვები მარტო მოზრდილთა კი არა, ბავშვების მეტყველებაშიც იკიდებს ფეხს, სწორედ იმავე მოზრდილების— დედების, მამების, უფროსი და-ძმების გავლენით. მერედა იცით კი რას ნიშნავს თითოეული მათგანი? რომ იცოდეთ, ალბათ, სათოფედაც არ გააკარებდით ბავშვების სმენას.

ამიტომ საჭიროა მკითხველისათვის ამ სიტყვების მნიშვნელობის შეხსენება.

**დებილი** გონებასუსტი ადამიანია; **დეგენერატი** — ვისაც ფიზიკური ან სულიერი გადაგვარების ნიშნები აქვს; **იდიოტს** — გონებაჩლუნგ, სულელ, ყეყეჩ, რეგვენ პიროვნებას უწოდებენ. ხოლო **კრეტინს** — იმას, ვისაც კრეტინიზმი ე. ი. გონების სიჩლუნგე სჭირს, რასაც თან ახლავს ადამიანის ფიზიკური განვითარების შეფერხება და გარეგნობით თავისებური დაუშნოება (მედიკოსები ამას ფარისებრი ჯირკვლის განუვითარებლობით ხსნიან). ასე განმარტავენ ზემოაღნიშნულ სიტყვებს ლექსიკონები.

როცა ბავშვს ამ სიტყვებით მიმართავენ, რომელიც სულაც არ არის არც დებილი, არც დეგენერატი, არც იდიოტი და არც კრეტინი, ძალაუნებურად გიჩნდებათ კითხვა: არის კი ნორმალური ის, ვინც უკეთილშობილეს არსებას ასე შეურაცხყოფს?

ამბობენ, ბავშვის გონება სუფთა დაფააო. ნუ გააჭუჭყიანებთ ამ დაფას ისეთი სიბინძურით, რომლის მოშორება შემდეგ ძნელია, ხოლო თუ თქვენსას არ დაიშლით, მაშინ ნუ გაგიკვირდებათ და ნურც გეწყინებათ, როცა ცოტა ხნის შემდეგ იმავე სიტყვებით მოგმართოთ თქვენივე ბავშვმა. ვინ იცის, იქნებ ის უფრო მართალი იყოს, ვიდრე თქვენ, რომელიც ასე აბუჩად იგდებთ და ფეხქვეშ თელავთ მომავალი მოქალაქის ადამიანურ ღირსებას!

ნუ დაიშურებთ ბავშვისათვის ტკბილ სიტყვას, რომლითაც ასე მდიდარია ჩვენი ენა, ნუ მოაკლებთ მას დედაენის სითბოსა და სიტკბოს!

იქნებ ოთარაანთ ქვრივი გაიხსენოთ და შემედავოთ, იმასაც ხომ ტკბილი სიტყვა არ უყვარდაო. მართლაც, „ტკბილი სიტყვა, რა არისო! — იტყოდა ხოლმე, — ამ გამწარებულს წუთისოფელში ტკბილი სხვა რა არის რომ სიტყვა იყოს. რას მიქვიან ტკბილი სიტყვა! თვალთმაქცობაა, სხვა არაფერი. ტკბილი სიტყვა ნუგეშია, კაცს გულს მოჰფხანს. გულის ფხანა რაღა დარდუბალაა! ფხანა ქეცმა იცის. ნუ გაიქეციანებ გულს და ფხანაც საჭირო არ იქნება“..

მაგრამ ოთარაანთ ქვრივი მუქთამჭამელების, უსაქმურების, ზარმაცების, უნდილების მიმართ იყო ასე განწყობილი: — შეპირშაო, არ დასაცალებელო, წუწკო, უბედურის დღისავ, ოხერო, გულმკვდარო. ოყრაყო, ადრე და მალე დასამარხავო, არდასარჩენო, — აი, როგორი სიტყვებით მიმართავდა იგი უსაქმურ ადამიანებს. — ხეთქე, წამოეთრიე. ჩაცეცხლე! — უფრო ტკბილი სიტყვები არ ემეტებოდა მათთვის. შვილს კი? „შვილთან ტკბილი ლაპარაკი იცოდა. თავის დღეში არ გაუჯავრდებოდა, თავის დღეში ავის სიტყვებით არ მოიხსენიებდა, თუმცა ხშირად კი სტუქსავდა. და ეს დატუქსვა ყოველთვის სამართლიანი იყო. ამიტომ გიორგი დედას თავის დღეში სიტყვას არ შეუბრუნებდა, რაც უნდა ძლიერ ეტუქსნა.

— მართალია და იმიტომაო, იტყოდა ხოლმე თავისთავად გიორგი, — ბრალი ჩემია და ტუქსვაც ჩემზედ ახიაო.

არცერთხელ არ ახსოვს გიორგის, რომ დედას უმიზეზოდ, ტყუილუბრალოდ დაეტუქსოს. რაკი ჩაუფიქრდებოდა ტუქსვას, მაშინვე გულს დააჯერებდა, რომ დედა მართალია“.

რამდენი რამის სწავლა შეუძლია ჩვენს ახალგაზრდა დედებს (და არა მარტო მათ) მაიკო დეიდასგან ან ოთარაანთ ქვრივისაგან!

**თინა ჟვანია,**
**საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ვარძია

არცთუ ისე დიდი ხნის წინათ თბილისში ჩატარდა კლდეში ნაკვეთი კომპლექსების დაცვისა და რესტავრაციისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სიმპოზიუმი, რომლის მოთავეც ძეგლებისა და ღირსშესანიშნავი ადგილების საერთაშორისო საბჭოს საბჭოთა კომიტეტი და საქართველოს სსრ ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო საწარმოო სამმართველო გახლდათ.

ამ ღონისძიების ჩატარების ადგილად საქართველოს არჩევა მოულოდნელი არ ყოფილა, რადგან საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და რესპუბლიკის მთავრობის მიერ უკანასკნელ ათეულ წელში განხორციელებულმა საეტაპო ღონისძიებებმა ისტორიისა და კულტურის ძეგლების წარმოჩენის, მეცნიერული შესწავლის, დაცვისა და შესაფერისად გამოყენების შესახებ მნიშვნელოვანი შედეგები გამოიღო: სწორედ ჩვენს რესპუბლიკაში დაგროვდა თეორიული და პრაქტიკული ხასიათის გამოცდილება, რომლის მეცნიერულმა გაანალიზებამ და განზოგადებამ საერთაშორისო რეზონანსი ჰპოვა, რაც გულწრფელად აღნიშნეს საერთაშორისო სიმპოზიუმის მონაწილე საბჭოთა და უცხოელმა სპეციალისტებმა საფრანგეთიდან, იტალიიდან, საბერძნეთიდან, ბულგარეთიდან.

კვლევის მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგიით შეიარაღებულმა ქართველმა სპეციალისტებმა დიდი და შრომატევადი სარესტავრაციო-საკონსერვაციო სამუშაოები განახორციელეს ჩვენი რესპუბლიკის კლდეში ნაკვეთ ცნობილ ხუროთმოძღვრულ ანსამბლებში, რომელთა შორის ერთერთი საპატიო ადგილთაგანი ეკუთვნის ცნობილ „ქვაბთა ქალაქს“ — ვარძიას.

კლდეში ნაკვეთი ხუროთმოძღვრული ანსამბლი ვარძია მდებარეობს მესხეთში, ასპინძიდან სამხრეთით 30 კმ დაშორებით, მდინარე მტკვრის მარცხენა ნაპირზე.

როგორც აკადემიკოსი ვახტანგ ბერიძე სამართლიანად აღნიშნავს: „რა თქმა უნდა, ფოტოსურათები შორეულ წარმოდგენასაც ვერ უქმნის მნახველს ვარძიის შესახებ, მით უფრო, რომ შთაბეჭდილებას ახდენს არამარტო თვით ძეგლი, კლდეში ნაკვეთი ოთახებისა და აქეთ-იქით მიმავალი კიბის საფეხურების საკვირველი რიტმი, არამედ მთელი გარემო, ვარძიის მიდამოები: ჯერ ვარძიიდან რამდენიმე კილომეტრის დაშორებით მდებარე ციხე-ქალაქის თმოგვის ნანგრევები: — თმოგვი გრანდიოზულ კლდეზე მდებარეობს და თვალჩაუწვდენელ ხრამს გადაჰყურებს; შემდეგ, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, მეორე გამოქვაბული მონასტერი — ვანის ქვაბები, რომლის სენაკები მაღალი მთის ციცაბო კალთებზეა მიმოფანტული; დასასრულ, ორ მაღალ ზეგანს შორის მდინარის მიერ ჩაკვეთილი ეს ღრმა კანიონი, ეს უზარმაზარი შიშველი კლდეები. სრულიად თავისებური სამყაროა — მკაცრი, საზეიმო, დიდებული და რომანტიკული“.

ვარძიის მშენებლობა იმ პერიოდში დაიწყო და დამთავრდა, როცა მესხეთი პოლიტიკურად გაძლიერებული საქართველოს თავდაცვითი სისტემის მნიშვნელოვან დასაყრდენს წარმოადგენდა და ამიტომ ვარძიის ქვაბთა ნაგებობას ციხე-ბურჯის მნიშვნელობაც ენიჭებოდა, რამაც თავისებური ასახვა თვით ვარძიის ხუროთმოძღვრების გადაჭრის თავისებურებებიც განსაზღვრა, როგორც ძლიერი სამხედრო ციხე-ქალაქისა, თუმცა სხვა მეცნიერთა აზრით ვარძია თავიდანვე აიგო, როგორც მონასტერი.

მემატიანე გადმოგვცემს, რომ ვარძიის მშენებლობა თამარის მამამ, — სრულიად აღმოსავლეთის „მეფეთმეფემ“ გიორგი III (1156—1184) დაიწყო, მაგრამ მეფის გარდაცვალებამ ხელი შეუშალა ამ შესანიშნავი, ქვაში ნაკვეთი ქალაქის დამთავრებას. მამის დაწყებული საქმის განსრულება წილად ხვდა მის მემკვიდრეს თამარ მეფეს (1185—1213), რომელმაც „აღასრულა და შეამკო ყოვლითურთ და შესწირნა მრავალნი და დიდროვანი საფასენი“.

ვარძიის სამონასტრო კომპლექსი, რომელიც მოიცავს კლდის საშუალო ფენას — იშლება 500 მეტრიან ფრონტად და შეიცავს რამდენიმე ასეულ სათავსოს განლაგებულს ხუთ, ექვს, შვიდ და ზოგან მეტ იარუსზე.

მართალია, ვარძიის ნაგებობის წინაპირი ჩამოქცეულია, მაგრამ გადარჩენილის მიხედვითაც ცხადია, რომ რამდენიმე ასეული საზოგადოებრივი, საკულტო, საცხოვრებელი და სამეურნეო დანიშნულების გამოქვაბული და გამოქვაბულთა ჯგუფები ურთიერთთან დერეფნებით, კიბეებითა და ბაქნებით იყო დაკავშირებული. ასე იქმნებოდა თავისებური დახურული ქუჩები და ნაგებობათა სართულები.

შესანიშნავად იყო გადაწყვეტილი წყლით მომარაგების საკითხი. წყაროს წყალი დასავლეთიდან 3,5 კმ მანძილზე, კლდეში გამოკვეთილი, გვირაბის იატაკში ჩაწყობილი, ორი თიხის მილსადენით თვითდინებით აღწევდა ვარძიის კომპლექსს.

ვარძიის მშვენება — ღვთისმშობლის მიძინების დიდი დარბაზული ეკლესია ვარძიის ცენტრშია მოთავსებული. დარბაზის სამხრეთის, ჩრდილოეთისა და დასავლეთის კედლები თლილი ქვით არის ნაგები. აბსიდა, კამარა და იატაკი კი კლდეშია გამოკვეთილი. 1283 წელს ძლიერ მიწისძვრას ეკლესიის სამხრეთი სტოა ჩამოუნგრევია და მის ნაცვლად XIII—XIV საუკუნეების მიჯნაზე ამოუყვანიათ ჩვენამდე მოღწეული სტოა ორთაღიანი კედლით. დარბაზული ეკლესიისა და სამხრეთის სტოას კედლები და კამარები კარგად შენახული ფრესკებით არის დაფარული. ჩრდილო კედლის აღმოსავლეთ ნიშაში მოთავსებულია ვარძიის მშენებლების — თამარ მეფის და მისი მამის გიორგი III გამოსახულება.

თამარი აქ სულ ახალგაზრდა, გათხოვებამდე არის გამოხატული. საკურთხევლის კონქში მთავარ ანგელოზთა შორის, გამოსახულია ღვთისმშობელი ძითურთ; ქვემო ნაწილში კი — 12 მღვდელთმთავარი გაშლილი გრაგნილებით ხელში.

ტაძრის სამხრეთი სტოა აკავშირებს გამოქვაბულთა დასავლეთის და აღმოსავლეთის ჯგუფებს. ეკლესიის ჩრდილო სათავსოდან სამალავი გვირაბი ზევით ადის და შემდეგ აღმოსავლეთის გამოქვაბულთა ჯგუფებს უკავშირდება, სადაც განლაგებულია: დარბაზი, თამარის ოთახი, სალხინო, მარანი, გამოქვაბულები და მდინარეზე ჩასასვლელი დიდი გვირაბი.

ეკლესიის მახლობლად დასავლეთით არის მოთავსებული ერთადერთი ნაგები შენობა — სამრეკლო.

ისე, როგორც დედა საქართველომ, ვარძიამაც დამპყრობთა არაერთი შემოსევა, ძარცვა, ნგრევა და აოხრება განიცადა. მისი მეცნიერული შესწავლა, დაცვა და პოპულარიზაცია შესაძლებელი გახდა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ.

უკანასკნელი ათეული წლის განმავლობაში მკვეთრად გაუმჯობესდა არამარტო ვარძიის დაცვისა და შესწავლის საკითხი, არამედ დამთვალიერებელთა მომსახურებაც, რომელთა რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება

ირაკლი ზაქარიაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# როცა გარეთ წვიმს, თოვს და ქარია

როცა გარეთ ცუდი ამინდია, იძულებული ვხდებით სახლში ვივარჯიშოთ. ვარჯიში უფრო საინტერესო იქნება, თუ გამოვიყენებთ სავარჯიშო ჯოხს, რგოლს, პატარა ბურთს (უკეთესია ჩოგბურთისა).

ჩვენს მიერ შემოთავაზებული ვარჯიშებიდან ოჯახის თითოეულ წევრს შეუძლია სათავისო შეარჩიოს და ამით შეავსოს დილის გამამხნევებელი და სხვა ვარჯიშები.

ვარჯიშთა შუალედში შეისვენეთ ხოლმე. სუნთქვა თავისუფალია.

## ჯოხით ვარჯიში ფეხზედგომელა

1. ასწიეთ ხელები მაღლა ჯოხითურთ, გაიჭიმეთ, დაუშვით. გაიმეორეთ 6—10-ჯერ.

2. ხელები დაშვებულია. ხელები და ტანი მარჯვნივ მოაბრუნეთ, შემდეგ — მარცხნივ. გაიმეორეთ 6—10-ჯერ.

3. ჯოხი ორივე ხელით ბეჭებზე დაიდეთ; ასწიეთ ორივე ხელით ზევით, გადაიზნიქეთ წინ, შეჩერდით 4—6 წამს, გასწორდით. გაიმეორეთ 6—10-ჯერ.

4. ჯოხი ბეჭებზე დაიდეთ. ჩაჯექით, ადექით. გაიმეორეთ 10—15-ჯერ.

5. ჯოხი ორივე ხელით მკერდზე მიიდეთ. ხელები წინ გასწიეთ, შემდეგ ზევით აღმართეთ. დაუშვით ქვევით, შემდეგ კვლავ მკერდზე დაიბრუნეთ და გაიმეორეთ 10—15-ჯერ.

## ვარჯიში სკამებით

1. სკამთან გვერდიდან დადექით, თან საზურგეს მოკიდეთ ხელი. გასწიეთ ფეხი წინ, დაუშვით; შემდეგ გასწიეთ გვერდზე — უკან. თითოეული ფეხით გაიმეორეთ 10—20-ჯერ (ნახატი 1).

2. სკამის ზურგთან დადექით, ხელები დააწყვეთ დასაჯდომი ნაწილის ნაპირს. ასწიეთ მარჯვენა ფეხი, გაიზნიქეთ, შეჩერდით 4—5 წამს, დაუშვით ფეხი. ასევე გაიმეორეთ მარცხენა ფეხით, გაიმეორეთ 4—8-ჯერ (ნახატი 2).

3. ხელებით დაეყრდენით ორი სკამის დასაჯდომ ნაწილს, ტანი სწორად დაიჭირეთ, შემდეგ აწურეთ, ჩაზნიქეთ და გაზნიქეთ. გაიმეორეთ 5—20-ჯერ. (ნახატი 3.)

4. ხელები სკამის დასაჯდომ ნაწილს მოჰკიდეთ და ფეხები მხრებზე განივრად დადგით; დაჯექით ცალ ფეხზე, მეორე ფეხი კი გაჭიმეთ. გაიმეორეთ მეორე მხარესაც. ვარჯიში გააკეთეთ 5—10-ჯერ (ნახატი 4).

5. ხელებით დაეყრდენით ორი სკამის დასაჯდომ ნაწილს, ფეხები მოხარეთ. ფეხები რიგრიგობით გამართეთ 10—30 წამის განმავლობაში (ნახატი 5).

## ვარჯიში ბურთით და ფეხზედგომელა

1. ერთი ხელით ბურთი ზევით აისროლეთ და ტაში შემოჰკარით, შემდეგ დაიჭირეთ ორივე ხელით. თითოეული ხელით გაიმეორეთ 3—4-ჯერ.

2. ერთი ხელით ბურთი იატაკს დაჰკარით, მეორეთი კი დაიჭირეთ. გაიმეორეთ 5—20-ჯერ.

3. ორივე ხელით ბურთი ზევით აისროლეთ, სწრაფად 360 გრადუსით მარჯვნივ შემობრუნდით და იატაკიდან ახხლეტილი ბურთი დაიჭირეთ. ასევე გაიმეორეთ მარცხენა მხარეზე შემობრუნებითაც. გააკეთეთ 3—5-ჯერ.

4. ბურთი იატაკზე ისე დააგდეთ, რომ ფეხი ზემოდან გადაატაროთ. გაიმეორეთ მარჯვენა და მარცხენა ხელითა და ფეხით მორიგეობით 5—10-ჯერ.

## ვარჯიში ბავშვთან ერთად

1. ბავშვს წელში მოჰკიდეთ ხელი, ასწიეთ ზევით და 3—5 წუთს გააჩერეთ თავზემოთ. შემდეგ ბავშვი დასვით. გაიმეორეთ 5—10-ჯერ (ნახატი 6).

2. ბავშვს ხელებზე ხელები მოჰკიდეთ და შეეცადეთ, რაც შეიძლება ორივე ფეხით ახტომაში მოეხმაროთ. გაიმეორეთ 5—10-ჯერ (სურათი 7).



3. ბავშვი მხრებზე დაისვით; ჩაცუცქდით და ადექით. გაიმეორეთ 5-15-ჯერ (ნახატი 8).

4. ბავშვს ფეხებში ხელი წაავლეთ და ეცადეთ ყირა გააჭიმინოთ. გაიმეორეთ 3—5-ჯერ (ნახატი 9).

5. ბავშვი ყირას ჭიმავს, ისე რომ ხელები თქვენს ფეხებზე აქვს დაყრდნობილი. ბავშვი ასეთ მდგომარეობაში გიჭირავს, თავად კი 20—60 წამის განმავლობაში ოთახში დაახტებით (ნახატი 10).

ჟურნალი „ზდოროვიე“

ეროვნული ბიბლიოთეკა

რჩევა დიასახლისებს

# „არასასურველი სტუმრები"

სადღეისოდ დედამიწაზე 3600-ზე მეტი სახეობის ტარაკანი ბინადრობს: საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ამ მწერის 50 სახეობაზე მეტი გვხვდება. აქედან ადამიანის ბინებში ცხოვრობს დაახლოებით 25 სახეობისა. პრაქტიკულად მთელ მსოფლიოში და საბჭოთა კავშირშიც ფართოდ არის გავრცელებული მწითური ტარაკანი (ფრანგული, პრუსაკი, შავა, რუსაკი), რომელიც პირველად 1957 წელს ციმბირში გამოჩნდა.

შუა აზიიდან საკმაოდ ფართოდ გავრცელდა ტარაკნები, ხოლო სამოცდაათიან წლებში საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე დამატებით გამოჩნდა ამერიკული, აფრიკული, ავსტრალიური, კუბური და ნაცრისფერი ტარაკანები. მათ შორის უმეტესობა ტროპიკული განედის მაცხოვრებელია და ძალიან სწრაფად იღუპება ჩვენს პირობებში, ხოლო ამერიკული და ნაცრისფერი ტარაკანები ფართოდ შეიჭრა ადამიანის საცხოვრებელ სახლებში და საზოგადოებრივ შენობებში, კარგად მოთავსდა და დაბინავდა ბნელ და ნოტიო ადგილებში: სამზარეულოებში, სააბაზანოებში, ტუალეტებში, სანაგვე ადგილებში, სარდაფებში და საცხოვრებელი ბინის სხვენებზედაც კი. ტარაკანები იკვებებიან ბოსტნეულით, პურით, შაქრით, თაფლით, შოკოლადით, ცხიმეულობით; არ იწუნებენ სამზარეულოს ახალ და ძველ ნარჩენებს; თუ საკვები და თბილი სადგომი აქვთ, ისინი კატასტროფული ტემპით მრავლდებიან. ტარაკანები არ არიან სპეციფიკური ინფექციური დაავადებების პირდაპირი გადამტანები, მაგრამ მაინც მეტად საშიშნი გახლავან: ტარაკანი რომ საღ პროდუქტებს გადაუვლის მექანიკური ან ნაწლავის გამონაყოფის გზით, ასევე თათების და სხეულის საფარის საშუალებებით გადააქვს 30 სახის მიკროორგანიზმი, — მათ შორის: ინფექციური დაავადებების დიზენტერიის, მუცლის ტიფის, პარატიფის, პოლიომიელიტის, ბოტკინის დაავადებებისა და სხვა ინფექციურ დაავადებათა აღმძვრელები.

კარგი საშუალებაა ბრძოლის ეკოლოგიური მეთოდი — ბინაში ან სამზარეულოში სხვადასხვა ბზარებისა და ნაპრალების ამოვსება, სადაც ამ მწერებს შეუძლიათ ცხოვრება და გამრავლება.

1960 წლიდან ტარაკანების წინააღმდეგ საბრძოლველად პრაქტიკაში დაინერგა ქლოროფოსი, რომელიც ამჟამადაც ფართოდ იხმარება. ამ ჯგუფის პრეპარატებიდან ფართოდ არის გამოცდილი პრეპარატები: — კარბოფოსი, მეთილაცეტოფოსი, ტროლენი, ლიბრომი, იოდფენფოსი, დვფი და სხვა. მაგრამ მათ მიმართაც სადღეისოდ ტარაკანები გამძლეობას გამოიმუშავებენ. ამჟამად მათ საწინააღმდეგოდ დამუშავებულია კონტაქტური სინთეტური შხამების (ნეოპინამინის, სუმეტრინის, რესმეტრინის, დიკრეზილის, ეთერის, ნეოპინატის, „დიხლოფოსის" და სხვათა) გამოყენება. მიუხედავად ამისა, სადღეისოდ პრაქტიკულად სადეზინფექციო სამსახური იძულებულია დაუბრუნდეს ძველ, მაგრამ სადღეისოდ ეფექტურ საშუალებებს, კერძოდ — ბორაკს (ბორაქსი), ბორის მჟავას პირეტრუმს, რომელთა მიმართ ტარაკანებს შენარჩუნებული აქვთ შედარებით საკმაოდ დიდი მგრძნობელობა.

ამრიგად ბორაქსი და ბორის მჟავა როგორც სატყუარა, იხმარება საკვებთან ერთად. ბორაქსის ფხვნილს, მასში არსებული წყლის ასაორთქლებლად, აშრობენ ალზე (მხოლოდ უწყლო ბორაქსის ფხვნილია ტარაკანებისათვის შხამი). ბორაქსს აწვრილმანებენ და ურევენ (თანაბარი რაოდენობით) ფქვილში და შაქარში. აი ამ ნარევს ხმარობენ ტარაკანების საწინააღმდეგოდ. რაც შეეხება ბორის მჟავას, მისგან ამზადებენ შემდეგი შემადგენლობის ნარევს: ბორის მჟავა ერთი წილი; მანანის ბურღული — ერთი წილი, შაქარი — ერთი წილი, ხოლო წყალი შვიდი წილი; ყოველივეს აურევენ და აღნიშნულ მასას ღამ-ღამობით სამი დღის განმავლობაში დებენ ტარაკანების შესაძლებელი თავმოყრის ადგილებში: სამზარეულოს კუთხეებში, სააბაზანოში, სანაგვე ყუთის ირგვლივ და სხვა. როდესაც ეს სატყუარები (3 დღის შემდეგ) საჭირო აღარ იქნება, უნდა შეგროვდეს, დაიწვას, ან უნდა ჩაიყაროს საკანალიზაციო მილში. მაგრამ ტარაკანების დიდი რაოდენობით შემოტევის დროს, საცხოვრებელი ბინა უნდა დამუშავდეს 3 პროცენტიანი ქლოროფოსის წყლიანი ხსნარით. უნდა გვახსოვდეს, რომ მისი მოხმარების დროს საჭიროა სიფრთხილე, რადგან პრეპარატი ძლიერ ტოქსიკურია.

ამრიგად, ტარაკანების წინააღმდეგ წარმატებით ბრძოლა შესაძლებელია მხოლოდ ეკოლოგიური და ქიმიური მეთოდების ერთობლივი მოქმედებით.

ზ. გრიგორაშვილი,
ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი.

# რჩევები

• • •

თუ რძე მიგეწვათ, მაშინვე სხვა ქვაბში გადაასხით, ჩაყარეთ შიგ ერთი მწიკვი მარილი, ოდნავ შეანჯღრიეთ და ცივწყლიან თასში ჩადგით.

* * *

კომბოსტოს ხარშვის დროს ცუდი სუნი არ დადგება, თუ ქვაბში სუფთა ნაჭერში გახვეულ ერთ ნაჭერ პურის გულს ჩააყოლებთ ან თავსახურს ძმარში დასველებულ ნაჭერს გადააფარებთ.

* * *

თუ გინდათ, რომ მოშუშული კომბოსტო არ ჩაფლავდეს და ხრამუნა იყოს, შუშვისას დაუმატეთ ცოტა ძმარი ან ლიმონმჟავა.

* * *

ვიდრე ცხიმიან ტაფას ცეცხლზე შედგამდეთ, შიგ ცოტა მარილი ჩააყარეთ.

* * *

ერბოკვერცხი (ომლეტი) გემრიელი გამოვა, თუ თითო კვერცხზე თითო სუფრის კოვზ არაჟანს დაამატებთ.



## იური რაქშა

# „სიცოცხლისათვის იბადებიან...“

„იური რაქშას შემოქმედებამ ჯერ კიდევ სიცოცხლეში დაუმკვიდრა მას საპატიო ადგილი თანამედროვე საბჭოთა მხატვრობაში. მისი ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება მათ გულში, ვისთვისაც ძვირფასია სამამულო ხელოვნების ბედი“.

ტ. სალახოვი

გამოჩენილი რუსი მხატვარი ი. რაქშა დაიბადა ქ. უფაში 1937 წელს. 15 წლის ყმაწვილი ჩამოდის მოსკოვში და იღებს უმაღლეს სამხატვრო განათლებას.

დიდება და აღიარება ი. რაქშას მისმა პირველმა გამოფენებმა მოუტანა. მხატვრის ნამუშევრები ექსპონირებული იყო საკავშირო და საზღვარგარეთის გამოფენებზე — პარიზში, ლონდონში, პრაღაში, ტოკიოში.

დიდი წარმატებები ჰქონდა რაქშას, როგორც კინოფილმების მხატვარს.

ჩვენს ნომერში გთავაზობთ ი. რაქშას ფერწერულ ტილოს „სიცოცხლისათვის იბადებიან“.

დაბადებულს — სიცოცხლე! — ქადაგებს მხატვარი; ომის, ცრემლისა და მწუხარების სინამდვილეშიც კი მშვიდობიანი შრომა დედამიწაზე უნდა გაგრძელდეს, ასე მეტყველებს ნაწარმოების ცენტრში გამოსახული ვიეტნამელი მადონა.

გარეკანის პირველ გვერდზე — თ. ქართველიშვილის პლაკატი — „დაე, იყოს მშვიდობა!“ მეოთხეზე — ი. რაქშა — „სიცოცხლისათვის იბადებიან“.


მთავარი რედაქტორი მარიკა ბარათაშვილი
Главный редактор МАРИКА БАРАТАШВИЛИ

სარედაქციო კოლეგია: ვ. ბანძელაძე, ნ. გაფრინდაშვილი, ნ. გურგენიძე, ლ. კაკაბაძე, ზ. კვაჭაძე, ნ. კილასონია, თ. ლაშქარაშვილი, ქ. ლომთათიძე, ნ. ქვანია, პ. ქლენტი, ც. ტერელაძე (მხატ. რედაქტორი), ნ. შალუტაშვილი, ლ. შეწირული, ნ. ცაგარეიშვილი, ნ. ჯავახიშვილი, ე. ჯაფარიძე (პ. მგ. მდივანი).

ტექრედაქტორი ნ. ბუკია

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии, 380096 Тбилиси, Ленина, 14.
Адрес редакции: 380096. Тбилиси, Ленина, 14.

რედაქციის მისამართი—ლენინის ქ. № 14. ტელეფონის №№ რედაქტორის — 99-98-71, პასუხისმგებელი მდივნის — 99-71-68. მხატვრული რედაქტორის — 93-98-57. საერთო განყოფილების 93-98-54. გადაეცა ასაწყობად 4.01. 84 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 9.II. 84 წ. ქაღალდის ზომა 60×1/3 ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5.8.
Условных печатных листов 3, учетно-издательских листов 5,8. ტირაჟი 138.000. შეკვ. № 18. უე 06438.

# მოდა





ფასი 80 კაპ.

ინდექსი 76178